

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის

74-ე

სამეცნიერო სესია

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2015 წლის 22-24 დეკემბერი

თბილისი
2015

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის **ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში** (ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორები — **ავთანდილ არაბული**
თამარ ვაშაკიძე

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

22 დეკემბერი, 11 საათი

გ. კვარაცხელია – ზოგიერთი ტერმინის ვარიანტული წარმოდგენა სამეცნიერო დისკურსში

ვ. შენგელია – შენიშვნები მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების თემატური ჯგუფების შესახებ

მ. სუხიშვილი – ერგატიულ ენათა მახასიათებლის მოშლის ტენდენცია ქართულში

ნ. ლოლაძე – კონცეპტი „დრო“ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

პ. ცხადაია, ი. კეკელია – ქალაქ თბილისის ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და მიკუთვნების პრინციპების შესახებ

ნ. სურმავა – დაწინააღმართის შესახებ (აჭარულისა და თურქეთის ქართული კილო-თქმების მიხედვით)

მ. ბუკია – სამურზაყანოს ტოპონიმიდან

მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი – სვანური (ხმოვნითი და თანხმოვნითი) ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია

თ. ლომთაძე – ენობრივი პოლიტიკის საკითხი კატალონიურის სახელმწიფო სტატუსის გათვალისწინებით

ნ. ხახიაშვილი – ერთი ფორმის დამკვიდრებისათვის ქართულში

ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი – მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნისართები სვანურში

ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე – საერთოქართველური ბრუნების სისტემის რეკონსტრუქციისათვის

მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა – „მზეი ცხრათვალა“ ანა კალანდაძის შემოქმედებაში

23 დეკემბერი, 11 საათი

ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი – კოდორული მეტყველების ასახვისათვის „ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში“

მ. ჩ უ ხ უ ა – ხათური (პროტოხეთური) ენის ქართველური იზოგლოსებისათვის

ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – შ/ჭ ბგერათფარდობისათვის აფხაზურსა და ქართულში

მ. ლ ო ნ ტ ი – ნუ უკუთქმითი ნაწილაკის საღვთისმეტყველო ფუნქციისათვის

ს. ო მ ი ა ძ ე – მოქმედებითი ბრუნვის სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებანი თანამედროვე ქართულში

ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი-ს უ ბ ა რ ი – პროექტის „ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ)“ ძირითადი ასპექტების შესახებ

თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – ელიფსური სახის რთული ქვეწყობილი წინადადება

ე. შენგელია – მეგრული ირიათო//ირიართო სიტყვათა წარმომავლობისათვის

თ. ტეტელოშვილი – ერთი ტიპის სტილისტიკური ხარვეზისათვის (მოხდება ზმნის მაგალითზე)

მ. ჩაჩანიძე – აკაკის ფრაზა ქეგლში, როგორც ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულება

ნ. ხოჭოლაგვა-მაჭავარიანი – რამდენიმე მოსაზრება მცენარეთა სახელების ეტიმოლოგიური კვლევისათვის (წენგა და ჭანგა)

მ. სალია – „რაბეთი“ და „ბარსენი“ ლექსემებისათვის

დ. კაკაშვილი – ზოგი კომპოზიტის წარმოებისათვის წოვათუშურ ენაში

24 დეკემბერი, 11 საათი

თ. ვაშაკიძე – ერთი სახის უარყოფითნაწილაკიან ფორმათა მართლწერისათვის

ნ. ჭუმბურიძე – გრძობა-აღქმის გამომხატველი შორისდებულები ქართული ენის დიალექტებში

ც. ჯანჯღავა – მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზისთვის

მ. ჭიკაძე – როლის ცნების არსი და ადგილი ტერმინოლოგიურ სისტემაში

ე. შენგელია, კ. მითაგვარია, ნ. ფონიავა – ლაზეთსა და სამეგრელოში მივლინების შედეგები

ნ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი – არნოლდ ჩიქობავას ანგარიში მთიულეთში მოგზაურობის შესახებ

ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – ქართული ენის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ხასიათის ლექსიკონები (თანამედროვე მდგომარეობა და მომავლის ამოცანები)

რ. კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი – შებრენებულ ძირთა თეორია და მისი მნიშვნელობა აფხაურ-ჩერქეზულ და დაღესტნურ ენათა ეტიმოლოგიური შესწავლისათვის

პროექტი „ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“

ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი – აორისტის წარმოებისა და რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე – მიმღეობა ნახურ ენებში

რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე – ნაზმნარი სახელები: -მ ფორმანტიანი ნაზმნარი სახელები

რ. ლ ო ლ უ ა – ნაზმნარ სახელთა ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის ნახურ-დაღესტნურ ენებში

ლ. ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი – ზმნური წარმომავლობის ზოგიერთი არსებითი სახელის აგებულებისათვის ხუნძურ ენაში

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

სამურზაყანოს ტოპონიმიდან

სამურზაყანოს ტოპონიმია ძალზე საინტერესოა ენათა შერევის შედეგად წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელების თვალსაზრისით.

გვხვდება სინონიმური ტოპონიმები (ერთ გეოგრაფიულ პუნქტს ჰქვია ქართველური და აფხაზური სახელი): **ადაღთრა / ოგორდე** – სახნავი, ეტიმ. „საბაყაყე“; **აპაპა(ი)კვარა / პაპაშ წყარი** – ოქუძმწყარის მდგენელი, ეტიმ. „მღვდლის წყალი“; **აზგაზუჰი / ჰიჰე ტურა** – ბორცვი, ეტიმ. „პატარა მელა, ტურა“; **არანააძიხ / არანაშ წყურგილი** – წყარო, ეტიმ. „არანას წყარო“...

ერთსა და იმავე ადგილს სხვადასხვა (მეგრული და აფხაზური) სახელი ჰქვია, მაგრამ სახელებების მოტივაცია განსხვავებულია: **აბაზჟარაშ დუდი / ოქუალონი** – ტყე-ფერდობი. პირველი ვარიანტი ჰიბრიდულია და ზედმიწევნით „ციხეთაშუას თავს“, / „აბაჟარას თავს“ ნიშნავს, მეორე მეგრული „ქვავენარია“...

გვხვდება კომპოზიტური, ან სინტაგმური შესიტყვებით მიღებული კომპოზიტები, სადაც ან მორფემებია ნასესხები, ან სინტაგმის ერთ-ერთი წევრი: **აკაჟარონი** – ბუჩქნარი. აფხაზური ფიტონიმი მეგრული მორფემითაა გაფორმებული; **ალაჰვარაშ სუკი** – მინდორი, ზედმ. „საცეხვის სერი“ – **ალაჰვარა** (აფხ.) „საცეხველი“, **სუკი** (მეგრ.) „სერი“; **გორღამილი ახრა** – კლდე, ზედმ. „დაღარული კლდე“ – **გორღამილი** (მეგრ.) „დაღარული“, **ახრა** (აფხ.) „კლდე“; **დათაშ აფთვრა** – ტყე, ზედმ. „დათას სადგომი“ – **დათაშ** (მეგრ.) „დათასი“, **აფთვრა** (აფხ.) მწყემსის სადგომი“...

ხშირად დასტურდება კომპოზიტური, ან სინტაგმური ტოპონიმი, რომლის ყველა ნაწილი აფხაზურია, მაგრამ მორფემა ან კონსტრუქცია ქართველურია: **არზატუშ ალფუ** – ხევი – **არაზატუ** (აფხ.) „ეული კაკალი“, **ალფუ** (აფხ.) „ხრამი“, ქართველური ატრიბუტული სინტაგმაა.

ხანდახან აფხაზური ტოპონიმი ფონეტიკურად ადაპტირებულია: **აჯმანწვარა** – სერი, ეტიმ. „სადაც თხები გაწყდა“ / **ჯიმანწვარა**...

ელიფსური სახის რთული ქვეწყობილი წინადადება

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ შეკვეცილ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა შესახებ გაბმულ მეტყველებაში (ლ. კვანტალიანი), რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადების განმარტობასა და დიალოგებში რთული წინადადების დაყოფაზე (ლ. კვაჭაძე).

ზეპირ მეტყველებასა და რეკლამის ენაში ზოგჯერ გამოიყენება ისეთი სახის რთული წინადადებები, რომელთა პირველი ნაწილი შეკვეცილი სახით, მხოლოდ ერთი წევრით გადმოიცემა, ხოლო მეორე ნაწილი – მთლიანი წინადადებით. ის მაქვემდებარებელი კავშირით მოსდევს წინადადების პირველი ნაწილის წევრს: *სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს; ადამიანები, რომლებიც ქმნიან სილამაზეს; ნამდვილი მეგობრობა, რომლისთვისაც ცხოვრება ღირს; ხარისხი, რომელსაც ვენდობი; ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია; თარღი, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება სამართლიანობისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ...*

მოყვანილი სტრუქტურის წინადადებების პირველი ნაწილი ყველგან უზმნო ფორმითაა წარმოდგენილი, გადმოცემულია არა წინადადებით, არამედ მხოლოდ ერთი წევრით. ეს ერთგვარი ელიფსია, სადაც ნაგულისხმევი ზმნა თუ სხვა წევრები ნათლად ივარაუდება და აღდგენაც თავისუფლადაა შესაძლებელი: *ხარისხი, რომელსაც ვენდობი – ეს არის ხარისხი, რომელსაც ვენდობი; სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს – ეს არის სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს; ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია – ეს არის ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია.*

მთავარ წინადადებაში გადმოცემული წევრის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ როგორი აგებულებისაა წინადადება. წინადადებათა პირველი ნაწილი ელიფსურია, მეორე ნაწილი კი სრული სახის დამოკიდებული წინადადებაა. ვფიქრობთ, ისინი **ელიფსური სახის რთული ქვეწყობილი წინადადებებია**. მაგალითად, *[ეს არის] სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს – ესაა*

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (**სახლი – რომელი?**);
[ეს არის] ის, რაც ყველა ქალის ჩანთაშია – აქ საკორელაციო სიტყვაა
მოცემული (**ის – რა?**), ის ქვემდებარეა მთავარ წინადადებაში და შე-
საბამისად, წინადადება ქვემდებარული დამოკიდებულია. გაბმულ
მეტყველებასა და რეკლამის ენაში წინადადებათა ასეთი სტრუქტურ-
რა სათქმელის ლაკონიურობისათვის გამოიყენება, აზრის სისხარ-
ტეს ემსახურება, ასევე ერთგვარ სტილსაც იძენს.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნისართები სვანურში

სვანურში გამოიყოფა ზმნისართთა ორი ჯგუფი: პირველადი
და წარმოქმნილი:

პირველადი ზმნისართები რაოდენობით მცირეა, მეორე ჯგუ-
ფი, რომელიც წარმოქმნილ ზმნისართებს მოიცავს, გაცილებით ბევ-
რია, მასში შედის:

1. სპეციალური სუფიქსებით ნაწარმოები ზმნისართები
2. ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები ზმნისართები და
3. კომპოზიციის შედეგად მიღებული ზმნისართები

ამჯერად შევეხებით ბრუნვის ნიშნით ნაწარმოებ ზმნისარ-
თებს, რომელთა რაოდენობა სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში
დიდია.

მიცემითი ბრუნვის მაწარმოებლად სვანურში **-ს** ფორმანტი
გამოიყენება, რომელიც დაერთვის სახელს (არსებითს ან ზედსარ-
თავს) და შესაბამისად ვიღებთ ზმნისართებს.

ა) არსებითი სახელი + **-ს**:

ქორ-ს „სახლში“ (შდრ. სვან. **ქორ** „სახლი“), **ჰამ-ს** „დილას“
(შდრ. **ჰამ** „დილა“), **ნაბოზ-ს** „სალამოს“ (შდრ. **ნაბოზ** „სალამო“), **პგი-
ს** „სახლში“ (შდრ. **პგი** „ადგილი“...) ბალსზემურში **პგი-ს** ზმნისართი
ორი შინაარსი მქონეა. იგი ნიშნავს „ადგილს“ და „შინ“. ბალსქვემო-
ურში კი გვაქვს ფორმა **პდგის** და მხოლოდ „ადგილს“ ნიშნავს.

ბ) ზედსართავი + -ს:

ჯუქედას-ს „შორს“ (შდრ. **ჯუქედი** „შორი“)

ფედას-ს „ახლოს“ (შდრ. **ფედი** „ახლო“)...

სვანურში არის შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის პარალელურად იხამრება ვითარებითი ბრუნვის **-დ** ფორმანტიანი და მიცემითი ბრუნვის **-ს** ფორმანტიანი ფორმები. (მაგ. **ფედი-დ** || **ფედას-ს** „ახლოს“), **ჯოდი-დ** || **ჯოდას-ს** „შორს“...)

მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშების მქონე ზმნისართები ერთმანეთს ენაცვლება სხვა ქართველურ ენებშიც (შდრ. ქართ. **პირას** და **პირად**, **ალაგას** და **ალაგად**, ზან. **წყინარას** და **წყინარო** „წყინარად“, **წორას** და **წორო** „თანაბრად“...).

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

ერთი სახის უარყოფითნაწილაკიან ფორმათა მართლწერისათვის

თანამედროვე ქართულში უარყოფითი „არა“ თავსართ-ნაწილაკით ნაწარმოებ ფორმათა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება (არააპრობირებული, არააქცენტირებული, არაინფორმირებული, არაკომერციული, არაკონსტრუქციული...). აღნიშნული ფორმანტი („არა“) განსაკუთრებით პროდუქტიულია ტერმინების წარმოებისას (**არაგამტარი**, **არაკოქსვადი**, **არაალეზადი**...).

„არა“ დაერთვის არსებით სახელს (**არაკაცი**, **არათითი**...), ზედსართავს (**არაზუსტი**, **არასწორი**...), წარმოქმნილ სახელს (**არაადამიანობა**, **არაზნეობრივი**...), მიმღეობას (**არადიფერენცირებული**, **არადასახეგრავი**...), რიცხვით სახელს (არაერთი), კითხვით და კითხვით-კურთვნილებით ნაცვალსახელებს (და აწარმოებს უარყოფითი შინაარსის ნაცვალსახელებს: **არავინ**, **არარა**, **არავისი**), ზმნურ ფორმას (არამკითხე), ზმნისართს (არაერთხელ, არაერთგზის), კავშირს (არადა, არათუ), „ფერ“- და „ნაირ“- ფორმანტებს (**არაფერი**, **არანაირი**).

ცალკე გამოიყოფა ის შემთხვევა, როცა „არა“ თავსართ-ნაწილაკი დაერთვის უფროობითი ხარისხის ფუძეს (**არაუადრეს**, **არაუგ-**

ვიანეს, არაუმეტეს...). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით მართებულად მიიჩნევა აღნიშნულ ფორმათა არა-შერწყმული ვარიანტები: **არა უადრეს, არა უგვიანეს, არა უმეტეს...** ქველში კი ისინი ერთ სიტყვად წარმოგვიდგებიან (**არაუადრეს, არა-უგვიანეს, არაუმეტეს...**).

მოხსენებაში შემოთავაზებული იქნება რეკომენდაცია (შესაბამისი მასალის გათვალისწინებით) აღნიშნულ ფორმათა დაწერილობასთან დაკავშირებით.

დი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

ზოგი კომპოზიტის წარმოებისათვის წოვათუშურ ენაში

წოვათუშურ ენაში კომპოზიტები ძირითადად შერწყმულ სახელებს წარმოადგენს (ანუ ფართო გაგებით კომპოზიტებს), რომელთა შემადგენელი კომპონენტები ერთმანეთს კავშირის გარეშე მიერთვის. შესაძლებელია, კომპოზიტთა ორივე ნაწილი ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი ან: პირველი – ფუძის სახით, მეორე კი – გაფორმებული ბრუნვის ნიშნით, მასდარისა თუ მიმღეობის მაწარმოებლებით.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება თხზული სახელების იმ მცირე ჯგუფის ანალიზი, სადაც პირველი კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში დგას. მაგ.:

დად-ი⁵ ფსტუ „დედინაცვალი“, სიტყვასიტყვით: დად „მამა“, ფსტუ „ცოლი“;

გაგუ-ი⁵ ქორთ „მუხლისთავი“, სიტყვასიტყვით: გაგუ „მუხლი“, ქორთ „თავი“;

ცჰა-ი⁵ ბჰარკ-ლი⁵ „ცალთვალა“, სიტყვასიტყვით: ცჰა „ერთი“, ბჰარკ „თვალი“, ლი⁵ – ქონა-ყოლის აღმნიშვნელი სუფიქსი.

ქართულიდან წოვათუშურში კომპოზიტების სესხების რამდენიმე გზა დადასტურდა:

1) თანხმოვანფუძიანი რთული სიტყვები აბსოლუტივის ფორმითაა მოცემული:

სულსწრაფ → სუსწრაფი;

ძმისწულ → ძმისწული

ძვირფას → ძვირფასი;

2) იშვიათად იკარგება მთლიანი მარცვალის:

ერკვერცხ → ერბოკვერცხი;

3) სუსტდება ან სრულიად იკარგება ხმოვანფუძიანი კომპოზიტების ბოლოკიდური ხმოვანი:

ძედსიმე → ზედსიმე;

ხეტყე → ზე-ტყე;

დედმიწ → დედამიწა.

რ ა დ ო ს ლ ა ვ კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი (კრაკოვი)

შებრენებულ ძირთა თეორია და მისი მნიშვნელობა აფხაურ-ჩერქეზულ და დაღესტნურ ენათა ეტიმოლოგიური შესწავლისათვის

წინამდებარე მოხსენებაში რამდენიმე მოყვანილი მაგალითის საფუძველზე განხილულია მერაბ ჩუხუას მიერ განვითარებული ე. წ. შებრუნებული წყობის ძირების თეორია და მისი გამოყენების შესაძლებლობა აფხაურ-ჩერქეზულ და დაღესტნურ ენათა ეტიმოლოგიურ შესწავლაში. მითითებულია აგრეთვე იმაზე, რომ ამ თეორიის გამოყენების წყალობით ხერხდება ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ზოგ ძირთა დაკავშირება, რომლებიც ადრე საზიაროდ მიჩნეული არ ყოფილა.

ქვემოთ წარმოადგენილია რამდენიმე მაგალითი

1) ქართ. მკერდი

სიტყვა, რომელიც აქამდე ინდო-ევროპულ ნასესხობად მიიჩნეოდა, ამ თეორიის შუქზე შეიძლება იყოს განმარტებული, როგორც ძირეული ფონდის კუთვნილება, თუ ვივარაუდებთ ასეთ ანალიზს:

მ-კე-რ-დ-ი, სადაც: **მ-** და **-დ** აფიქსებია, **კე-** არის ძირი, ხოლო **-რ** წარმოადგენს გაქვავებულ კლას-ნიშანს. ამ შემთხვევაში ფუძე

კერ შეგვიძლია დავუკავშიროთ დადესტნურ ენათა „გულის“ აღმნიშვნელ არსებით სახელებს, მაგ.: ხუნძ. **რ-აკ**; ლაკ. **დ-აკ**.

ქართულში დასტურდება ხმოვანთა გადაბგერების (**ა > ე**) სხვა შემთხვევებიც.

სემანტიკური გადაწევა – გული → მკერდი გასაგები ჩანს.

რაც მთავარია, ქართულში ამოსავალი კლას-ნიშანი მოსდევს სახელურ ძირს, ხოლო დადესტნურ და ნახურ ენებში წინ უსწრებს.

2) ქართ. **საყუდარი**

ამკარაა, რომ ეს სიტყვა იყოფა: **სა-ყუდ-არ-ი**, სადაც **-ყუდ-** სახელურ ფუძეს წარმოადგენს. თუ ვივარაუდებთ, რომ ამ ფუძეში ბოლოკიდური თანხმოვანი გაქვავებული კლას-ნიშანია, ძირი დაუკავშირდება ხუნძური ენის „სახლის“ აღმნიშვნელ ძირს: ხუნძ. **რ-უყ** < ***დ-უყ**.

კლას-ნიშნის თანხმოვანთა ცვლილება: **დ > რ > მ** მრავალ მაგალითში დადასტურებულია.

სემანტიკური ცვლილება: სახლი → საყუდარი, თავშესაფარი [უსაფრთხო ადგილი] უჩვეულო არ არის.

უმნიშვნელოვანესი განსხვავება აქ განხილულ ძირთა შორის შეეხება ამოსავალი კლას-ნიშნის ადგილმდებარეობას.

3) უბიხ. **თ^ახ^ა** „მდინარე“

თუ ვივარაუდებთ, რომ ეს სიტყვა ორ ნაწილად იყოფა: **ა-ხ^ა**, სადაც თავკიდური **თ^ა**- მეორეული ლაბიალიზაციის შედეგად გარდაქმნილ გაქვავებულ კლას-ნიშანს წარმოადგენს, ეს ძირი შეგვიძლია დავუკავშიროთ დადესტნურ და ნახურ ენათა „წყლის“ აღმნიშვნელ ძირს, მაგ.:

ბუდ. **ხგ-დ** < ***ხე-დ**; თაბ. **შე-დ** < ***ხე-დ**; ინგ. **ხი-მ**; ჩეჩ./ბაცბ. **ხი** < ***ხი-მ** (მათში კლას-ნიშანი ძირს მოსდევს).

ამასვეა უკავშირდება ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის შესაბამისი არსებითი სახელები, რომელთა თავკიდურში გამოვლენილია ლატერალი აფრიკატი ან სპირანტი:

ხუნძ. **ლ^ა:ი-მ**; ანდ. **ლ^ა’ენ** „წყალი“

4) ქართ. **ცხრა**

თუ ვივარაუდებთ, რომ ქართ. **ცხრა** < ***ცხარა** < ***ცახა-რა** < ***ხა-ცა-რა**, მაშინ, იქნებ, შეგვიძლია დავუკავშიროთ ეს ძირი დადესტნურ ენათა შესატყვის რიცხვით სახელთა ძირს: ბავგ. **ჰაჰ^ა-და**; ჭამ. **აჰა-და** < ***ჰაჰ^ა-და** < ***ჰაჰ^ა-და** „ცხრა“

ბგერითი ცვლილებები ქართულში შეიძლება განმარტებული იყოს ფონოტაქტიკური წესებით, რომელთა მიხედვით ბგერათკომპლექსები **წხ-** / **ჭხ-** დაუშვებელია.

ამ შემთხვევაში კლას-ნიშნის (**-რა;** **-და**) ადგილმდებარეობა არ განსხვავდება, მაგრამ საქმე გვაქვს ძირეულ მარცვალთა მეტათეზისთან (შებრუნებასთან), რაც აგრეთვე პოსტულირებულია შებრუნებული წყობის ძირთა თეორიაში.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

საერთოქართველური ბრუნების სისტემის რეკონსტრუქციისათვის

ქართველურ ენათა სათანადო მასალის ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე (ადრეული) საერთოქართველურისათვის აღვადგენთ ბრუნების შემდეგ პარადიგმას:

წრფელობითი (აბსოლუტივი) Ø

მოქმედებითი (ერგატივი) *-ი; (საკ. სახელები) Ø

ნათესაობითი (გენეტივი) *-ი-ს₁

(იარაღობითი (ინსტრუმენტალისი) *-ი-თ?)

მიცემითი (დატივი) *-ს

გარდაქცევითი (ტრანსფორმატივი) *-ად

გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

ზოგიერთი ტერმინის ვარიანტული წარმოდგენა სამეცნიერო დისკურსში

ცნობილი ტრიადა „აღმნიშვნელი – აღსანიშნი – საგანი“ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, სკოლებსა თუ კონცეფციებში სხვადასხვა ტერმინებით არის დასახელებული.

ჯერ კიდევ ელინური ხანის სტოელები (III-I სს. ჩვ. წ. აღ-მდე) ამჩნევდნენ ნიშნის შინაარსის არამატერიალურობას, როდესაც **აღ-მნიშვნელს** განსაზღვრავდნენ როგორც „აღქმულს“, ხოლო **აღსანიშნს** – არა როგორც **საგანს**, არამედ როგორც „გაგებულს“, „შეცნობილს“. ასევე, სტოელებიდან დაწყებული, ნიშნის ყველა განმარტება მის ორბუნებოვნებაზე მიუთითებს: ერთი მხრივ, ნიშანი არის მატერიალური, გრძობადაღქმადი საგანი (ნივთი, მოვლენა, მოქმედება, თვისება), რომელიც გვევლინება როგორც მეორე საგნის, თვისების ან მიმართების წარმომადგენელი (ჩამნაცვლებელი, რეპრეზენტანტი) და რომელიც გამოიყენება ინფორმაციის მიღების, შენახვის, გადამუშავებისა და გადაცემისთვის, მეორე მხრივ, მისი მეორე, იდეალური მხარეა ნიშნის მნიშვნელობა ანუ შინაარსი, სემიოტიკური ტერმინებით – აღსანიშნი, ანუ შინაარსის პლანი. სწორედ ამის გამო, ნიშნის ბინარულობის მიუხედავად, მისი არსის გრაფიკული ფორმულა სამკუთხედი გახდა.

არ არის ძნელი შესამჩნევი, რომ აღნიშნული ტრიადიდან ამოდის ცნობილი გერმანელი ლოგიკოსის გოტლობ ფრეგეს „ლოგიკური სამკუთხედი“ (წარმოდგენილი მის ნაშრომებში XIX ს.-ის ბოლოს) – „დენოტატი – კონცეპტი – ნიშანი“ და ამერიკელი სემიოტიკოსების ჩარლზ ოგდენისა და აივორ რიჩარდსის სემანტიკური სამკუთხედიც „სიტყვა – ცნება – საგანი“, რომელიც განახორციელებს სამი ძირითადი ლინგვისტიკურ-ლოგიური კატეგორიის ურთიერთკავშირის მოდელს, წარმოდგენილს 1923 წელს ამ ავტორთა კოლექტიურ წიგნში „მნიშვნელობის მნიშვნელობა: ენის გავლენის კვლევა აზროვნებაზე და მეცნიერული სიმბოლიზმი“.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რუდოლფ კარნაპისა და კლარეს ირვინგ ლიუსის მიერ შემოღებული ტერმინები, ფრეგეს ოპოზიციის „დენოტატი – აზრი“ შესაბამისი – „ექსტენსიონალი“ და „ინტენსიონალი“.

კოგნიტიურ ენათმეცნიერებაში „აღმნიშვნელისათვის“ გაჩნდა გამომსახველობითი შესიტყვება „ნიშნის სხეული“, რათა უფრო გახაზულიყო მნიშვნელობის მატარებელი კომპონენტის მატერიალურობა.

ნიშნის არაელემენტარულობისა და შინაგანი სტრუქტურების დანახვამ თანდათან გააღრმავა ნიშნის, როგორც ფორმის, ისე შინაარსის გაგება. მიუხედავად ამისა, სტოელების მიერ აღმოჩენილი

ტრიადა „აღმნიშვნელი – აღსანიშნი – საგანი“, როგორც ერთიანი სისტემის კოორდინატთა ღერძი, შენარჩუნებულია და კვლევა-ძიებებში ლოგიკურ-სემიოტიკურ ინვარიანტად გამოიყენება. აქვე დავსძენთ, რომ სოსიურისეული „ღირებულების“ („ნიშნადობის“) ცნება ამ ერთი წახნაგით გაზარდა სამკუთხედი და აქცია იგი სემიოტიკურ პირამიდად.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

„მზე იცხრათვალა“ ანა კალანდაძის შემოქმედებაში

მზე ადამიანის სულის სიმბოლოს ჰგავს. მზე არის ის ნაწილი ადამიანში, რომელიც დროის მიხედვით ფაქტობრივად არ იცვლება. შეიძლება ითქვას, რომ მზე ადამიანის თავისებური გენოტიპია.

გასაოცარი ძალით იხატება მზე ანას შემოქმედებაში. სირაქლემას ფრთებით შემოსილი პოეტი მზის მომღერლად აცხადებს თავს:

„თავს მოვიკაზმავ
სირაქლემას ლამაზი ფრთებით
და მზეს ვუმღერებ,
ოკეანით მომავალს მძიმედ...“.

მზე სიცოცხლის ძალაცაა, იგივე ღმერთია:
„როცა მზის სხივი მასაც მოძებნის,
შეირხვიან ანგელოსები:
სიცოცხლის ძალას ასე ხვდებიან...
მთვარის ქვეშ ისევ გაქვავდებიან“...

ან კიდევ:
„ვალმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და ვწირავ მსხვერპლსა“...

მწყემსის მიერ ატირებული სალამური მზის სასალამო სიმღერას მღერის, მარტისპირულს:

„სალამურს ატირებს „მწყემსი ქაცვია“
და მოვს ცხოვარი....
ეს სიმღერაა მზის სასალამო,
მარტისპირული“...

გასაოცარ განცდას იწვევს მკითხველში ანასეული „მკვდართა მზე“ – ორი ქვეყნის გზაგასაყარზე მანათობელი, სხივმიმკვდარი:

„სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი
მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები“....

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ანას პოეზიაში „მზის გულს“, რომელიც სხვაგვარად ათბობს და ანუგეშებს:

„მახსოვს მოხუცი გეჯურა, –
ფიქრებში დაინთქმებოდა...
თავის ეზოში მზის გულზე
ციცასთან ერთად თბებოდა“...

ან კიდევ:

„შემორჩენილი სვეტის თავებზე
მრისხანე ლომი
მზის გულზე თბება“...

ამოტომაც უდარებს პოეტი მზეს ადამიანთა დაულალავ გულს, რომელიც საიმედო და ძველია მზესავით („...გული, გული არ იღლება, – ისიც მზესავით ძველია!“).

ანასთან მზე გასულიერებულია – ის ფეხის წვერებზეც იწვევს, მზის ქალაქშიც იხედება, იცინის ვარდფურცლობისას და უსმენს ოკეანეებს: „მზემ აიწია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“; „მზე იცინის ვარდფურცლობის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელეების“; „შენ მისმენ ისე, ვით მზე უსმენს ოკეანეებს“...

„ცხრათვალა მზის“ ტრფობა პოეტს სამუდამოდ გულში ჩარჩენია:

„ჩვენ ცხრათვალა მზეთა და
მძვინვარე ზღვათა
ტრფობა გაგვყოლია“....

ანას პოეზიაში მზით დათრობაც კი შესაძლებელია („...ისეც მთვრალია აშულთა მეფე, მზით, სიხარულით, სიცოცხლით მთვრალი!“), ზოგჯერ მზე არჩვისა და ჯიხვის ტყავებზეც დაბრძანდება („...მზე დამძიმდა და დაბრძანდა არჩვის და ჯიხვის ტყავებზე...“) ან

ნაძვის სამეფოში შეიჭრება („...მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში და ძვირფასი თან მიჰქონდა მიმყოლს მარგალიტით მოჭედილი ქოში...“), ან კიდევ – საარწივისწვერს ეფრქვევა ზედ („საარწივისწვერს მზე ეფრქვეოდა, ჭიუხებისაც მზით წითდა წვერი...“).

ყურადღებას იქცევს ემოციური ელფერი იმ სიტყვებისა, რომლებიც მზის მსაზღვრელებად წარმოგვიდგებიან ანას პოეზიაში: „დაულალავად ასე იფრენენ, და **დიდებულსა** მზესა აქებენ...“; „...ვუმზერთ **სისხლიან** მზეთა ამოსვლას“; „**ზამთრის** მზეს მალვენ ჯანლები...“ „სითბო გვზრდიდა, ჩვენ ულევნი სითბო გვზრდიდა **თავისუფალ** მზის სამეფოში...“

ზოგჯერ პოეტი მზეს ძველქართულისეული ფორმით მოიხსენიებს, რითაც კიდევ უფრო მეტად ათბობს მკითხველს:

„ცაში გაფრენილან ნისლიანი მთები... **მზე**ი შენით მზეობს“; „**მზე**ი დაცხრა, ყვავილების ქარია, ჩურჩულებენ მოლზე ნაირფრები“; „მიმწუხრისას, **მზე**ი როცა დაცხრა, დედოფალი ლოცვად იდგა ტამრად“; **მზე**ი ცხრათვალა ბრიალებს სადაც, შენც, შენც იქა ხარ, იდუმალეზავ!“...

მართლაც, იდუმალეზავა – დიდებული პოეტური იდუმალეზავა – ანას მზით გამთბარი პოეზია... და კიდევ – ნუგეში: „ – ნუ ტირი, ჩემო პატარავ, **მზე** კვლავ დაგაფრქვევს ღიმილსა...“.

ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე

კონცეპტი „დრო“ რომანტიკოსთა შემოქმედებაში

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი იმპულსი მიეცა დროის ფენომენის კვლევას. კონცეპტი „დრო“ წარმოადგენს გარემომცველი სამყაროს შესახებ ადამიანის კოგნიტიური წარმოდგენების ერთერთ ძირითად ბაზისურ ელემენტს.

დროის შესწავლისას მთავარ სირთულეს ქმნის ის, რომ დროის აღქმა შეუძლებელია. ადამიანს ამისათვის არა აქვს სპეციალური ორგანო, მაგრამ მას აქვს დროის შეგრძნება და სწორედ დროის შეგრძნებით ხდება მისი ფსიქიკური წყობის ორგანიზება. დროის შეგრძნება დამოკიდებულია ბუნების ციკლებზე, ხოლო ფსიქიკური

სტრუქტურები დაკავშირებულია ხაზოვან დროსთან, რომელიც დანაწილებულია წარსულად, მომავლად და მათ ერთიან ნაკადად გამერთიანებელ აწმყოდ (ნ. არუთინოვა).

დროის შესახებ წარმოდგენები ტრანსფორმაციას განიცდის, სხვადასხვა ეპოქაში ეს წარმოდგენები განსხვავებულია, მასზე გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების გამოცდილება, ფასეულობათა სისტემა, საერთო კულტურული ფონი.

ქართულში დროის გამომხატველმა ლექსიკურმა ერთეულებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. კერძოდ, დროთა განმავლობაში მოხდა ენაში უკვე არსებულ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური გადააზრება, ამის მაგალითია ლექსიკური ერთეულები – **წუთი** და **წამი**. ასევე საყურადღებოა დროის აღმნიშვნელი ერთეულების – **დროისა და წამის** სემანტიკაში მომხდარი ცვლილება, კერძოდ, ის ეტაპი, რომელიც რომანტიკოსთა შემოქმედებაში არის ასახული.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

ენობრივი პოლიტიკის საკითხი კატალონიურის სახელმწიფო სტატუსის გათვალისწინებით

თანამედროვე ესპანეთში კატალონიური ყველაზე გავრცელებული ენაა კასტილიურის შემდეგ. ამ ენაზე მეტყველებენ კატალონიაში (5. 978.628), ბალეარის კუნძულებზე (680.933), ვალენსიაში (3.730.628). კატალონიურად ლაპარაკობენ ასევე ანდორაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთსა და სარდინიაში.

ესპანეთის ავტონომიებში კატალონიური სხვადასხვა ვარიანტით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ვალენსიაში გავრცელებული კატალონიურის ვარიანტი, ვალენსიურის სახელით არის ცნობილი. კატალონიის ავტონომიის კანონმდებლობის მესამე მუხლის შესაბამისად,

1. კატალონიის საკუთარი ენა არის კატალონიური.

2. კატალონიური ენა არის ოფიციალური კატალონიაში, ისევე როგორც კასტილიური, მთელი სახელწიფოს ოფიციალური ენა.

3. მთავრობა უნდა იყოს გარანტი ორივე ენის ოფიციალური და ნორმალური გამოყენებისა, მიიღოს აუცილებელი ზომები მათი შესწავლისათვის და შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ სრულ თანასწორუფლებიანობას კატალონიის მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით.

კატალონიაში კასტილიური შედარებით დაბალი ვარიანტია, ვიდრე კატალონიური. ეს უკანასკნელი გახლავთ ფართოდ გავრცელებული ენა საგანმანათლებლო სისტემაში, მასმედიაში და ცხოვრების ყველა სფეროში.

ბალეარის კუნძულის ოფიციალური ენა კასტილიურთან ერთად არის კატალონიური.

ბალეარის კუნძულების კანონმდებლობის მესამე მუხლი გვაუწყებს:

1. კატალონიურ ენას, ბალეარის კუნძულების ენას, მიენიჭოს ოფიციალური ენის სტატუსი, ისევე როგორც კასტილიურს, და იცოდნისა და გამოყენების უფლება.

2. ენის გამო ვინმეს დისკრიმინაცია დაუშვებელია.

3. კატალონიური ენის სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც კუნძულზე გამოიყენება, იქნება შესწავლისა და დაცვის საგანი ენის მთლიანობისათვის ზიანის მიუყენებლად.

კატალონიურს გააჩნია ადგილობრივი ვარიანტები, რომლებიც ყველა კუნძულზე განსხვავებულია. აქაური მაცხოვრებლები საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდნენ კატალონიურს, ემიგრაცია შეზღუდული იყო, ამიტომ იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომლისთვისაც ეს ენა მშობლიურია, ძალიან მაღალია. თანამედროვე ეპოქაში ტურიზმის ინტენსიური განვითარება ბალეარის კუნძულებზე იწვევს ემიგრანტი მუშახელისა და მომსახურე პერსონალის, ასევე უცხოელი რეზიდენტების მასიურ შემოდინებას.

ვალენსიის ავტონომიაში კასტილიურთან ერთად ოფიციალური ენაა ვალენსიური. ავტონომიის კანონმდებლობა გვაუწყებს:

მუხლი მეთორმეტე

1. ავტონომიური თემის ორი ოფიციალური ენა არის ვალენსიური და კასტილიური. ყველას აქვს უფლება იცოდნენ და გამოიყენონ ისინი.

2. ვალენსიის მთავრობა უნდა იყოს გარანტი ორივე ენის ნორმალური და ოფიციალური გამოყენებისა და უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მათი ცოდნის უზრუნველსაყოფად.

3. ენის გამო ვინმეს დისკრიმინაცია დაუშვებელია

4. გარანტირებულ იქნას საგანგებო დაცვა და პატივისცემა ვალენსიური ენის ასაღორძინებლად.

5. კანონი აწესებს თემის ენის ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო გამოყენების კრიტერიუმებს.

6. კანონი ადგენს იმ ტერიტორიებს, სადაც ამა თუ იმ ენის გამოყენება დომინირებს, ასევე იმ შემთხვევებსაც, როცა დასაშვებია თემის საკუთარი ენის არცოდნა და გამოუყენებლობა.

ვალენსიური ენის ბუნება და მისი, როგორც კატალონიურის ერთ-ერთი ვარიანტის იდენტიფიკაცია წარმოქმნის გარკვეულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრისათვის მთავრობა ეფექტურ ნაბიჯებს დგამს. ვალენსიის ავტონომიური თემის ერთი ნაწილი თავიდანვე კატალონიურად მეტყველებდა, მაგრამ ენას დაბალი სოციალური პრესტიჟი აქვს, ვინაიდან ქალაქებში და საზოგადოების მაღალ ფენებში თანდათან მოხდა მასზე უარის თქმა. ვალენსიური იციან იმ მაცხოვრებლებმაც, ვისთვისაც იგი მშობლიური ენა არ არის.

კატალონიაში 1983 წლიდან მოქმედებს „კატალონიის ენობრივი ნორმალიზაციის კანონი“ („Linguistic Normalization in Catalonia Law“). 1986 წლიდან ბალეარის კუნძულებზე მოქმედებს „ბალეარის კუნძულების ენობრივი ნორმალიზაციის კანონი“ („Balearic Islands Linguistic Normalization Law“). ასევე, 1983 წლიდან ვალენსიაში ამოქმედებული კანონი „კანონი ვალენსიური ენის გამოყენებისა და სწავლების შესახებ“ („Law on the Use and teaching of Valencian“). აღნიშნული კანონები არეგულირებენ ენის ფუნქციონირების საკითხებს მთავრობასა და ადმინისტრაციაში, განათლებაში, მასმედიაში, ზოგადად, ენის ცოდნასა და გამოყენებას.

ლინგვისტური ნორმალიზაციის კანონების რეზიუმედან ჩანს, რომ განსხვავებების მიუხედავად მათ მსგავსი სტრუქტურა და მიზნები აქვთ, თუმცა, აქამდე მიღწეული შედეგები თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულია, რადგან ლინგვისტური ნორმალიზაციის პოლიტიკის შედეგები დამოკიდებულია არა მარტო საკანონ-

მდებლო ტექსტებზე, არამედ უამრავ სხვა ფაქტორზე, რომელებზეც მოხსენებაში გვექნება მსჯელობა.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

პროექტის „ზემოსვანური (ენგურისა და კოდორის ხეობათა) ტექსტების მორფონოლოგიური სეგმენტაცია (გამოკვლევა და სიმფონია-ლექსიკონი ქართულ-ინგლისური ვერსიითურთ)“ ძირითადი ასპექტების შესახებ

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად აღწერილი ხასიათისაა და გულისხმობს შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებით ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტის პრეზენტაციას; მოხსენებაში საუბარი იქნება ზოგიერთ ასპექტზე სვანური მორფემული ლექსიკონისა, რომელიც გამოსაცემად მომზადების პროცესშია. სვანური ენის ყველა დღემდე არსებულ ლექსიკონთაგან იგი განსხვავდება რამდენიმე ფაქტორით:

1. ნაშრომში სიტყვა-სტატიები მოცემულია არა ძირითადი ფორმებით, არამედ სიმფონია-ლექსიკონის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა ლექსემის ფიქსაციას ნაშრომში ისე, როგორც ის ზემოსვანური ტექსტების პუბლიკაციებშია, ფრჩხილებში კი ფორმაცვალეზად მეტყველების ნაწილებს მიწერილი აქვთ ამოსავალი ფორმა;

2. ზმნური ფორმები პირველად ითარგმნა ევიდენციალობის გათვალისწინებით, რაც მკითხველს უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის სვანური ზმნის შესაძლებლობებზე და თვალსაჩინოდ წარმოადგენს დაპირისპირებას ორ აწმყოს (ნეიტრალურსა და ევიდენციალურს), ორ მყოფადს (ნეიტრალურსა და ევიდენციალურს), უწყვეტელსა და პირობითს, შედეგობითსა და შედეგობით-პირობითს შორის.

3. ერთ-ერთ სპეციფიკურ საკითხს წარმოადგენს სვანურ ენაში **-ოდჷტჷ/-უჷ/-უჷ/-უჷ** („-მცა“) ნაწილაკიანი ფორმები და მათი გამოყენების არეალი. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში „-მცა“ ნაწილაკი იხმარებოდა ზმნის თხრობითი კილოს ფორმებთან და განაპირობებ-

და კავშირებითი კილოს გაგებას; უღლების სისტემაში თავად კავშირებითი მწკრივების გაჩენის შემდეგ „-მცა“ ნაწილაკიანი ფორმები თანდათან განიდევენა მეტყველებიდან და დღეს თითქმის აღარ გვხვდება, შემორჩენილია ძირითადად გაქვავებულ ან დიალექტურ გამოთქმებში, ოღონდ არა ზმნასთან („ისემც გიქნია...“, „არამც და არამც“...); სხვა ვითარებაა სვანურში; აქ „მცა“-ს სემანტიკური შესატყვისი ნაწილაკი მეტად პროდუქტიულია, მისი გამოყენების არეალი (როგორც ადგილის, ისე ფუნქციის თვალსაზრისით) კი – ფართო:

ა) საანალიზო ნაწილაკი შეიძლება დაერთოს როგორც ყველა სრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილს, ასევე ნაწილაკს, თანდებულს, ე. წ. „წინდებულ-თანდებულს“ (ამ უკანასკნელთან ერთად იგი ტმესს ქმნის);

ბ) უღლების პარადიგმაში იგი გამოიყენება არა მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმებთან, არამედ კავშირებითთანაც და კონკრეტულად ნატვრის სემანტიკას ანიჭებს წინადადებას;

გ) თავისუფლად გამოხატავს მესამე პირის ნათქვამს (ა. ონიანი ამ ნაწილაკს სხვათა სიტყვის ნაწილაკთა შორის მოიხსენიებს) სხვათა სიტყვის **-როქტუტ, ესერ** ნაწილაკების გარეშე, თუმცა ასევე გვხვდება მათ გვერდით და ასეთ შემთხვევაში **-ოღუტ/-უტ/-უ/-უტ** სწორედ მესამე პირის სხვათა სიტყვის ნაწილაკებს დაერთვის: **ქორუ ადგე** – 1. სახლი აეშენებინა („სახლიმც ააშენა“); 2. სახლი ააშენოსო (მდრ. **ქორ ესერ-უ ადგე** – „სახლი ააშენოსო“/„სახლი ააშენეო“);

ამ და მსგავს შემთხვევებში ლექსიკონში ვუთითებთ სალექსიკონო ერთეულის ყველა შესაძლო მნიშვნელობას, ომონიმურობისა და პოლისემანტიკურობის გათვალისწინებით;

დ) მსგავსი ვითარებაა I და II პირთა პირდაპირი ნათქვამის გადმოცემისას, რამდენადაც სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-გგჰ/-ოჰ** გაუდიფერენცირებელია და შეესაბამება როგორც „-მეთქი“, ასევე „-თქო“ ნაწილაკს; შესაბამისად, ნაწილაკოვან ფორმებთან ორივე განმარტებას ვუთითებთ.

ვფიქრობთ, სვანური ენის ფონოტაქტიკის წესების უმკაცრესად დაცვით სემანტიკურული და რეკონსტრუირებული, ამასთან ქართულ ენაზე ნიუანსების გათვალისწინებით ამომწურავად თარგმნილი მასალა (1500 კომპ. გვერდამდე მოცულობისა) არა მარტო ამ ეტაპზე იქცევა სამაგიდო წიგნად ქართველოლოგ-ლინგვისტთა-

თვის, არამედ სვანურში აფიქსთა რანგობრივი სისტემის საფუძვლიანად შესწავლასაც დაედება საფუძვლად. ასევე ეს ნაშრომი არის კარგი წანამძღვარი სვანური ტექსტების ანოტირებული კორპუსის შესაქმნელადაც.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

შ/ჭ ბგერათფარდობისათვის აფხაზურსა და ქართულში

აფხაზურსა და ქართველურ ენებს შორის კანონზომიერ ბგერათმესატყვისობათა დადგენისათვის მნიშვნელოვანია ამ ენებს შორის ბგერათფარდობათა გამოვლენა.

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აფხაზურ წინაენისმიერ შიშინა მაგარ სპირანტ შ-ს ფარდი შეიძლება იყოს ქართულ-ქართველური წინაენისმიერი აფრიკატი ჭ.

სავარაუდო ბგერათფარდობისათვის მოხმობილია რამდენიმე მაგალითი:

აფხაზური: აშე „ფეტვი“ – ქართული: მჭადის მჭადა,

აფხაზური: აშეკაკა „თეთრი“ – ქართული: გამჭვირვალე,

აფხაზური: აშეცლამშ / აშეცლამ „ხავსი“ – ქართული: ჭანჭრობი, ჭაობი,

აფხაზური: აშეშაკამს „ჭიანჭველა“ – ქართული: ჭიანჭველა.

მოხსენებაში გათვალისწინებულია აგრეთვე აფხაზურ-ჩერქეზულ და ქართველურ ენათა სხვა მონაცემებიც.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

მოქმედებითი ბრუნვის სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებანი თანამედროვე ქართულში

მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული შემდეგი საკითხები:

- მოქმედებითი – უძველესი ფორმაციის ბრუნვა;
- მოქმედებითი – მრავალმნიშვნელობიანი (არასპეციფიკური) ბრუნვა;
- ეძებნება თუ არა ინვარიანტი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გამოხატულ სხვადასხვა მნიშვნელობას;
- მოქმედებითი თუ „ჭურვილობითი“ („საჭურვილობითი“);
- თანდებულებიანი მოქმედებითი თუ გამოსვლითი;
- მოქმედებითი ბრუნვის ძირითადი მნიშვნელობები და მათი სემანტიკური ელფერები;
- მოქმედებითს ბრუნვაში მდგომი სახელისა და მისი ალტერნატივების პრაგმატიკული მნიშვნელობა;
- თანდებულებიანი მოქმედებითის უმარტეულო ხმარების შემთხვევები თანამედროვე ქართულში.

ნ უ გ ზ ა რ კ ა კ უ ა შ ვ ი ლ ი

არნოლდ ჩიქობავას ანგარიში მთიულეთში მოგზაურობის შესახებ

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ავტოგრაფი სათაურით: «1922 წ. ზაფხულს მთიულეთში მივლინების ანგარიში». ტექსტი დაწერილია ორ თაბახის ფურცელზე. პირველი ფურცლის ორივე გვერდი მოგზაურობისა და შესრულებული სამუშაოს აღწერას უჭირავს. ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილია მომდევნო ფურცლის პირველ გვერდზე. დოკუმენტი ხელმოწერილია ასე: «ბენედიკტე ჩიქობავა».

ანგარიშის ადრესატი არის «საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ბ. მთავარი გამგე», რომლის ვინაობა ტექსტის დასკვნითი ნაწილიდან ხდება ცნობილი: «ბ. ვუკ. ბერიძე».

ანგარიში ხასიათდება ლაკონიზმით, კონკრეტულობით, ინფორმაციულობით და სიცხადით. ჩვენთვის უკვე ცნობილია აღნიშნული მოგზაურობის, მთის რეგიონში სამუშაო ვიზიტისა და მასალის მოძიების დეტალები. ირკვევა, რომ მოგზაურის ინტერესების სფეროში არა მარტო ენათმეცნიერება, არამედ ეთნოგრაფიაც შედიოდა.

იმის მიუხედავად, რომ აკად. არნოლდ ჩიქობავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის არსებითი მხარეები აღნუსხული და შესწავლილია, განსახილველი დოკუმენტი სამეცნიერო მიმოქცევაში არ ჩანს.

ამ დოკუმენტს ასევე აქვს ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა, რადგან გვეძლევა შესაძლებლობა გავითვალისწინოთ მოცემული პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ყოფის ზოგიერთი ასპექტი.

მ ა კ ა ს ა ლ ი ა (დუზჯეს უნივერსიტეტი)

„რაბეთი“ და „ბარსენი“ ლექსებისათვის

დუზჯე ეთნიკური ქართველებით დასახლებული რეგიონია თურქეთში. მათი მეტყველების ენობრივი ანალიზი მრავალმხრივ საინტერესოა. აქაურ ქართველთა მეტყველებაში შემონახულია ქართული ენის დასავლური დიალექტებისთვის, განსაკუთრებით მაინც აჭარულისთვის, დამახასიათებელი ლექსემები. საანალიზო ლექსემებიც დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში დავაფიქსირეთ:

„**რაბეთი** ბაღვია კაი საქმე მისგან არ იქნება; **რაბეთი** გოგო; ფუ, **რაბეთი** საჭმელია; ერთი **რაბეთი** კაცია“. აღნიშნულ შემთხვევებში „რაბეთი“ სიტყვა უარყოფით ემოციას გადმოგვცემს; მისი მნიშვნელობებია „ცუდი, უზნეო, უშნო, უგემური, სულელი“...

შ. ფუტყარაძის ნაშრომში „ჩვენებურების ქართული“, დადასტურებულია **ბეჩი** – უჭკუო, გონებაუსტი. „მაქფერი ინსანი სახლში

შამულუშვა, **ბეჩი** ხომ არ ვარ?! (ინეგოლი); **ბეჩი** მე ვარ, ზავალი, მაგას რომე ვუზღებ“ (იმერხევი). აქვეა **ბეთი** ცუდი, საძაგელი, ავი. „ეს დერმანი ვერ ვსვი წინწინა, **ბეთია**“ (სოფელი ხასანფაშა; ინეგოლის რ.); „**ბეთ** გზევნარზე გველით“ (ტაო). აქვე წარმოდგენილია ფუძე-გაორკეცებული – **ბეთ-ბეთი** ცუდ-ცუდი. „**ბეთ-ბეთ** პარკებ (აბრეშუმის) მოხარშევდენ და ამუახვევდენ“ (სოფელი ჰაირიე, ინეგოლის რ.). საანალიზო სიტყვათა განმარტებისას მითითებულია – სპ. Bed. შევნიშნავთ, რომ ოდენ **ბედ** (ან **ბეთ**) სიტყვა არ დასტურდება თურქულ სალექსიკო მასალაში. გვხვდება რამდენიმე კომპოზიტი: Beddua „წყევლა“, Bedbaht „უბედური“...

ვფიქრობთ, **ბეჩი** // **ბეთი** ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტებია. ჩვენებურთა მეტყველებაში დადასტურებული **რაბეთი** სიტყვის ამოსავალიც **ბეჩი** (→ **რა ბეჩი** → **რაბეთი**) უნდა იყოს.

ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონის მიხედვით, „**ბეჩი** (გურ., ზ. აჭარ.) არის ლენჩი, მოსულელო, უჩკუო (ალ. ღლ., შ. ნიჟ.); შდრ. საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ);

ბეჩი → **რა ბეჩი** → **რაბეთი** ტიპის შემთხვევები არაა უცხო, როდესაც მთქმელის მეხსიერებაში შემორჩენილი სიტყვა მათ მეტყველებაში იცვლის ფორმას ან მნიშვნელობას; მაგალითად, „მემემშია მინდა და პაწაის მემრე მოვალ“. მთქმელის ახსნით, მემემშია იგივე საჭმელია; მის მეხსიერებაში შემორჩენილი „მემემშია“ სიტყვა დღეს ოდენ საჭმლის მნიშვნელობით გამოიყენება; სიტყვა „საჭმელი“ კი არ იცის, არ ახსოვს. ასევე, მიმართვის ფორმა „ბიჭო“ ბიჭის მნიშვნელობით: ორი ბიჭო მყავ „ორი ბიჭი მყავს“.

დღუზჯეს ქართველთა მეტყველებაშივე დავადასტურეთ სიტყვა **ზარსანი**, რომლის მნიშვნელობებია დიდი, ბევრი: „**ზარსანი** გზაი გამევიარეთ; **ზარსანი** კაცია“...

ზარესამი, **ზარსამი** – ბევრი, საკმაოდ ბევრი. „ვიცი **ზარესამი** იქვერი ადგილები“; „**ზარესამ** ვლმერობდით ბაღვობაში“; „**ზარსამი** ჭოროხი ხიდზე გაწყვეტენ“ (შ. ფუტკარაძე); **ზარსახანი** – დიდი ხანი, დიდი დრო. „**ზარსახანისა** იქნება ახლა ანაშენი; **ზარსახან** ასე მარუნია“.

ზარსამი დასტურდება ზ. აჭარულში – ბარე სამი; ბევრი, მრავალი (ალ. ღლონტი).

ზარესამი, **ზარსამი**, **ზარსანი** ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტებია. საანალიზო ფორმებთან დაკავშირებული უნდა იყოს მე-

გრულში დიდის მნიშვნელობით დადასტურებული – **ზარსოფი**: მუ-
თა **ზარსოფ** რე „დიდი არაფერია...“.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

სვანური (ხმოვნითი და თანხმოვნითი) ზგერწერთი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია

სვანურში (ხმოვნითი და თანხმოვნითი) ზგერწერთი ლექსი-
კა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, პირობითად ოთხ ძირითად
სემანტიკურ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. **საკუთრივ ხმაზამვითი ლექსიკა** (ანუ სხვადასხვა სახის ხმი-
ანობის გამოხატვა), რომელიც თავის მხრივ შეიძლება რამდენიმე
ქვეჯგუფად დაიყოს:

ა) **ხმები, რომლებიც მოქმედების თანმხლებ ხმას გამოხატავენ**:
ზერბენ (ზზ., ჩოლ.) „ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი“; **თხურპუნ** (ზზ.,
ლშზ., ჩოლ.), **თხურპუნ** (ბქ., ლნტ.) „თუხთუხი; სრუტუნი“; **სერტენ**
(ზზ., ლშზ., ჩოლ.), **სერტენ** (ბქ., ლნტ.) „ჭახანი,ჭახჭახი; ქალის მჭექა-
რე ხმა“; **ტკერცენ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.), **ტკერცენ** (ბქ.) „ტკაცანი, ტკაცატ-
კუცი“; **ჭერხენ** (ზზ., ლშზ.), **ჭერხენ** (ბქ., ლნტ.) „ჭახანი, ბათქუნი,
ბათქაბუთქი“...

ბ) **მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ლექ-
სიკური ერთეულები**: **ზერბენ** (ბქ., ჩოლ.) „ენაზრგვილი მამაკაცის ლა-
პარაკი“; **თერტენ** (ზს., ქს.) „ჭიხვინი, ფრუტუნი“; **თერყენ** (ლშზ.),
თერყენ (ბქ., ჩოლ.) „კისკისი“; **კერკენ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.), **კერკენ** (ბქ.,
ლნტ.), **ქერკენ** (ლნტ., ჩოლ.) „კისკისი“; **ცურცუნ** (ზზ., ლშზ.), **ცურცუნ**
(ბქ., ლნტ.) „ჩურჩული“; **ცქერტენ** (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქა-
ლებისა, ცქმუტუნი“...

გ) **წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა**: **თქურფუნ** (ბქ.,
ჩოლ.) „თქრიალი, დგაფუნი (წყლისა, სისხლისა...)“; **კურკუნ** (ჩოლ.)
„წანწკარი (წყლისა)“; **წურქუნ** (ზზ.) „წანწკარი“; **წყერგენ** (ბქ., ჩოლ.)
„წანწკარი (შდრ. მეგრ. წყურგინ)“; **კურკუნ** (ბქ., ჩოლ.) „დუღილის-

ნაირი ჩუხჩუხი (წყლისა)“; **კტიფ-კტიფ** (ჩოლ.) „ჩუხჩუხი (წყლისა)“ და ა. შ.

შიდა საკლასიფიკაციო სემანტიკურ ნიშნად, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, შერჩეულია ოპოზიცია *სულიერი (ადამიანის, ცხოველისა და ფრინველის ზგერადობა) და უსულიო (არაცოცხალი საგნის ზგერადობა)*.

2) **სინათლისა და ცეცხლის ნათება-მოდრაობის აღმნიშვნელი ლექსიკა**: ლი-**დღუჷ**-ე (ბქ.) „ბრდღვიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“; ლი-**კგრ**-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ლი-**კგრ**-ე (ბქ., ლნტ.) „კრიალი, ბრჭყვიალი, კაშკაში“; ლი-**რსგნ**-ე (ბქ.) „კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“; ლი-**რფგნ**-ე (ზს., ქს.) „ციმციმი (თამაში შუქისა)“; ლი-**ტგლტგნ**-ე (ბქ.) „კრიალი, ბრჭყვიალი...“; ლი-**ღუზ**-ე (ბზ., ლშხ.), ლი-**ღუზ**-ე (ბქ., ლნტ.) „გუზგუზი, ბრიალი (ცეცხლისა)“; ლი-**ჯღუჷ**-ე (ბზ.) „კრიალი, ბრჭყვიალი“ და მისთ.

3) **დინამიკურობის – მოძრაობისა და მოქმედების – ამსახველი ლექსიკა**: **ზგრგენ** (ბქ., ჩოლ.) || ლი-**ზგრგან**-ალ (ბქ.) „ბანცალი“; ლი-**ზგრძგენ**-ე (ლშხ.), ლი-**ზგრძგენ**-ე (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი“; ლი-**რკუნ**-ე (ზს., ქს.) „კანკალი, მაგ-მაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“; ლი-**რსგნ**-ე (ლშხ., ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი“; ლი-**ფსგგნ**-ე (ზს.) „კანკალი, მაგ-მაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“; **ფგრღგნ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ფგრღგნ** (ბქ.) „კანკალი, მაგ-მაგი“; **ჯულჯუნ** (ბქ.) „ძუნძული“ და სხვ.

აღნიშნულ ველში შემოდის მოძრაობის ყველა სახე, რომელიც სივრცეში გადაადგილებას აღნიშნავს, მათშორის ადგილზე მოძრაობის ამსახველი ლექსიკაც (მაგ.: ლი-**ტორნტ**-ე (ლშხ., ჩოლ.) „ტორტმანი“; ლი-**ჰამზუნალ** (ბქ.) „ადგილზე ქანაობა“; ლი-**იგინწალ** (ბქ.) „მალალი, მთვრალი კაცის ქანაობა, ბარბაცი“; ლი-**ზანკუნალ** (ბქ.) „ქანაობა, რწევა“...)

სვანური, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ფონოსემანტიკურ ფუძეთა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა; გვაქვს როგორც სვლისა და სიარულის, ისე ფრენისა და ცურვის აღმნიშვნელი ლექსიკაც, თუმცა ფრენისა და ცურვის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ფუძეები, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, ნაკლებად დასტურდება.

სვლისა და სიარულის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. ლი-**ბიჰყანალ** (ბქ.) „უშნოდ, გაფარჩხულად სიარული (ქალისა,

ბავშვისა“; **ლიეკანაწლ** (ბქ.), **ლიეკანალ** (ბქ.), **ლიეკანაწლ** (ჩოლ.) „ახალგაზრდა, მეტიჩარა, გამხდარი გოგოს მეტიჩრულად, გამართულად სიარული“; **ლიბილტყე** (ჩოლ.) „პატარა ქალის ხტომა“; **ლიზიბ-ზიბი** (ლშხ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე, დონდლო სიარული“; **ლი-პატ-პანტ-ი** (ჩოლ.) „გამხდარი, ფეხშიშველი ხნეირი ქალის ლაპარაკი, სიარული“ და მრავ. სხვ.

ფრენისა და ცურვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:
ლიბერტყანალ (ბქ.) „ფრინველის ფრენა ან ცურვა წყალში ფრთების ტყლაშუნით“; **ლიტყუბნაჲწლ** (ჩოლ.) „ფრინველის ცურვა წყალში ფრთების ტყლაშუნით“; **ლიღუტნაჲწლ** (ჩოლ.) „ფრინველის ცურვა წყალში ფრთების ტყლაშუნით“...

4) **ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ შედეგადობას:**
ბითქ-ბათქ (ზს., ქს.) „ბათქაბუთქი (თოფის, დამბახის და მისთ.)“; **ბიჩხ-ბაჩხ** (ბქ.) „მირტყმა-მორტყმის ხმა“; **ბერთქენ** (ზს., ქს.) „ბათქუნი“; **დგუბ-დგუბ** (ბქ.) „დუგდუგი“; **ჟიტყ-ჟატყ** (ბქ.) „ტალღის ტყლაშუნის ხმა“; **ტყუისგ-ტყუასგ** (ბქ.) „სროლის ხმა, ჭახანი“; **შეიბ-შეიბ** (ზზ.), **შეიბ-შეიბ** (ბქ., ჩოლ.) „ჯახაჯუხი“...; **ლიგუტიბი** (ბქ.) „დიდი ყლოუბებით დაღევა (წყლისა, სასმლისა...)“; **ლიყელწე** (ლშხ.) „ყლოურწვა“; **ლიხტილიბი** (ზს.) „სვლეპა“...; **ლიეგრზინე** (ბქ.) „უშნოდ ღეჭვა მაგარი საჭმლისა“; **ლიეკანკლავი** (ლშხ.) „პირის ჩქარი მოძრაობით ჭამა“; **ლიეკუკუე** (ბქ.) „სასიამოვნო, წყნარი, კობტა ჭამა, კიკნა“; **ლიმანტყლაჲი** (ლშხ.) „უხეში, ხმაურიანი ჭამა“...; **ბერბენ** (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“; **პიჲ-პიჲ** (ლშხ., ჩოლ.) „უაზროდ, დაუფიქრებლად, ზერელედ ლაპარაკი“; **ლი-დარ-დნლ-ი** (ჩოლ.) „დიდი ტანის ქალის ხმამაღალი ლაპარაკი“; **ლი-ყარ-ყნლ-ი** (ჩოლ.) „ზარმაცი და მოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა“...; **ღურ-ღუნ** (ზს.) „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“; **ჭურ-ჭყუნ** (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნ“; **ჭერჭენ** (ზზ.), **ჭერ-ჭენ** (ბქ.) „ჭიკჭიკი, ჭრიჭინი“; **ცქერტენ** (ბქ.) „თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნ“; **კერკენ** (ზზ., ლშხ., ჩოლ.), **კერკენ** (ბქ., ლნტ.), **ქერკენ** (ლნტ., ჩოლ.) „კისკისი“ და ა. შ. აღნიშნული ჯგუფი მოიცავს მოძრაობის ყველა იმ სახეს, რომელსაც ახლავს ხმა/ხმაური.

მოხსენებაში დაწვრილებით იქნება განხილული ზემოთწარმოდგენილი სემანტიკური ჯგუფები და, ცხადია, ისინი დაჯგუფებული იქნება ცალკეული სემანტიკური მახასიათებლების (მოძრაო-

ბის ტემპი, ინტენსივობა, ემოციური მდგომარეობა, ფიზიკური და მენტალური მახასიათებლები...) მიხედვითაც.

ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

და ნაწილაკის შესახებ (აჭარულისა და თურქეთის ქართული კილო-თქმების მიხედვით)

დამხმარე სიტყვები (და მათ შორის ნაწილაკები) ხასიათდებიან რა გამოყენების სიხშირითა და ინტერფერენციული ცვლილებებისადმი მიდრეკილებით, თავის წილ როლს ასრულებენ ენობრივი ქვესისტემების ვარიაციების, სახესხვაობათა წარმოქმნაში. ეს განსაკუთრებით ითქმის დიალექტურ ქვესისტემებზე, რომლებიც ხშირად ავლენენ ნაწილაკთა გამოყენებაში სემანტიკურ-ფუნქციურ და ფორმალურ სხვაობებს.

და-ს ნაწილაკის ფუნქციით გამოყენება აღნიშნულია საერთო-ქართველურში. არსებობს ვარაუდი **და** კავშირის ნაწილაკური წარმოშობის შესახებ (შ. ძიძიგური), ასევე კონკრეტული შემთხვევების ანალიზისას იგი ახსნილია როგორც **და** კავშირისაგან მომდინარე წინადადების ელიფსის, ცვეთის გზით.

განსახილველ დიალექტებში შეინიშნება **და** ნაწილაკის გამოყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ნაწილაკთა შემადგენლობაში.

ერთ შემთხვევაში მისი ფუნქცია და წარმომავლობა შედარებით „გამჭვირვალეა“ – იგი **და** კავშირისგან მომდინარეა წინადადების ცვეთის გზით. მაგალითი: „მექთები არ დიმიანხია, მა(რ)ა ჭკუიდან ვიგნავ'და“.

ამ შემთხვევაში **და** ნაწილაკის ფუნქციურ შესატყვისად სასაუბრო ქართულში უნდა მივიჩნიოთ **რა** კითხვითი ნაცვალსახელი ნაწილაკის როლში („ძალიან ძვირი ჟდება რა!“ – მიგრანტი აჭარელის მეტყველებიდან).

მოხსენებაში განხილული იქნება **და** ნაწილაკის გამოყენების სხვა შემთხვევები და მოცემული იქნება მათი ახსნის ცდა.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

ერგატიულ ენათა მახასიათებლის მოშლის ტენდენცია ქართულში

გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა მარკირება ერგატიულ ენებში ერგატიულობის ძირითად წესს გამოავლენს: $S = P$ -ს და $S = A$ -ს, რაც ასე განიმარტება: გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) ისევე ფორმდება, როგორც გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი (P); გარდამავალი ზმნის სუბიექტს, აგენსს (A) საკუთარი ფორმა აქვს.

ერგატიულ ენათა ეს მახასიათებელი ქართულში შეზღუდულადაა წარმოდგენილი – დრო-ვილთა სისტემის ნამყო ძირითადის ჯგუფში (II სერიაში) და ისიც მხოლოდ ზმნასთან შეწყობილი სახელების მორფოლოგიაში; სახელებში გამოვლენილი ერგატიულობა გულისხმობს, რომ გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პდ. ობიექტის მარკირება ერთი და იმავე ბრუნვით ხდება; გარდამავალი ზმნის აგენსს თავისი ფორმა აქვს:

სურათ-**o** (S) დაიხატა-ა

მხატვარ-**მა** (A) ს ურათ-**o** (P) დახატა

ზმნაში გამოვლენილ ერგატიულ პრინციპზე შეიძლება ვისაუბროთ გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევისა და გარდაუვალი ი ნ ი ა ნ ი ვნებითების იდენტურ ფორმათა შეჯერებისას:

და-**o**-ხატა მან სურათ-ი

და-**o**-ხატა სურათ-ი

გარდამავალ ზმნაში -ი ხმოვანი პრეფიქსი პირდაპირ ობიექტს უკავშირდება, გარდაუვალ ზმნაში – სუბიექტს მიანიშნებს.

ძველ ქართულში ერგატიულობის აღნიშნული მახასიათებელი არამარტო ზმნასთან შეწყობილი სახელების ბრუნვით ან თუნდაც გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა ხმოვანი პრეფიქსების იდენტურობით, არამედ პირის აფიქსთა მორფოლოგიითაც წარმოჩნდება, კერძოდ, გარდამავალი ზმნის სახელობით ბრუნვაში დასმულ პირდაპირ ობიექტს (P) და გარდაუვალი ზმნის სუბიექტს (S) მრავლობითში იდენტური მარკერები (ენ-/ენ) აქვთ:

დამმალ-**ენ**-ეს მათ ჩ უ ე ნ – ჩ უ ე ნ დავიმალ-**ენ**-ი-თ

დაგმალ-**ენ**-ეს მათ თ ქ უ ე ნ – თ ქ უ ე ნ დაიმალ-**ენ**-ი-თ

დამალ-5-ეს მათ ი გ ი ნ ი – ი გ ი ნ ი და ი მ ა ლ -5-ეს...

(არნ. ჩიქობავა)

ახალ ქართულში ზმნაში მრავლობითობის აღნიშვნის ეს წესი აღარ მოქმედებს და, შესაბამისად, ზმნაში ერგატიულობის გამოხატვის მოშლის ტენდენციაც იკვეთება; იმლება ზმნასთან შეწყობილ სახელთა ბრუნვების რაგვარობაზე დამყარებული ერგატიულობის ფორმულაც: II სერიაში ერგატიული კონსტრუქცია აღარ განიხილება მხოლოდ გარდამავალი ზმნის კონსტრუქციად; გარდაუვალ ზმნათა ერთ ჯგუფს (მედიაექტივებს) სუბიექტი ასევე ერგატივში დაესმის, შესაბამისად, II სერიაში განმსაზღვრელი ხდება არა გარდამავალ-გარდაუვალ, არამედ აქტიურ და ინაქტიურ ზმნათა დაპირისპირება, ძველ ქართულში ეს პრობლემა არ გვაქვს, რადგან საშუალო გვარის ზმნები ხმოლოდ I სერიის მწკრივთა ფორმებს აწარმოებენ (ა. შანიძე, 1976, შდრ. ზ. სარჯველაძე, 1997).

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

ერთი ტიპის სტილისტიკური ხარვეზისათვის (მო)ხდება ზმნის მაგალითზე

ხდება ზმნას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ჩვენ გვინტერესებს მისი გამოყენება „კეთდება, სრულდება“ სემანტიკით. სწორედ ამ მნიშვნელობით აღნიშნული ზმნა ძალიან ხშირად გვხვდება ისეთი აღწერითი წარმოვების აქტიურ კომპონენტად, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი მასდარია, მეორე კი – **(მო)ხდება** ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმა. ქართული ბეჭდური მედიიდან მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ასეთ წარმოებას მოსაუბრენი ყოველგვარი საჭიროების გარეშე მიმართავენ.

მაგალითები (ავტორთა ენა და სტილი დაცულია):

უნდა **მოხდეს შერჩევა** და მიიღონ მხოლოდ ის ლტოლვილები, რომლებიც ევროპაში ინტეგრაციისთვის არიან მზად.

ასევე, პროექტის ფარგლებში **ხდება** არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის შესაბამისი შეთანხმებების **გაფორმება**...

ასე რომ, უკვე მათთან ერთად **მოხდება** შესაბამისი წესების და კრიტერიუმების **შემუშავება**.

პარალელურ რეჟიმში **მოხდება** პროცესების იმგვარად **წარმოება**, რომ პროექტის განხორციელება სამი წლის განმავლობაში მოესწროს.

ალბათ კარგი იქნებოდა, გზების **მშენებლობა** უფრო დროულად **მომხდარიყო**.

მოყვანილ მაგალითებში აღწერით წარმოებას თავისუფლად ენაცვლება ზმნის ორგანული ფორმები. მაგალითად, *მოხდეს შერჩევა* → **შეირჩეს**; *ხდება გაფორმება* → **გაფორმდეს**; *მოხდება შემუშავება* → **შემუშავდება** და სხვ. შესაბამისად, ზემოაღნიშნული აღწერითი წარმოება უნდა უგულვებლევყოთ, როგორც სტილისტიკურად გაუმართლებელი და მის ნაცვლად გამოვიყენოთ ზმნის ორგანული ფორმები.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ნუ უკუთქმითი ნაწილაკის საღვთისმეტყველო ფუნქციისათვის

I. **არ, ვერ** და **ნუ** უკუთქმით ნაწილაკთა სალექსიკონო განმარტებისას სულხან-საბა ორბელიანი ხელმძღვანელობს შესაბამისი უკუთქმითი მიგებითი ნაწილაკების ფუნქციური მახასიათებლებით:

„**არ** – (9, 11 დანიელ) არასავით. არას ნაკლები; „**არა** – (5, 39 მათე) უქმნელობის უარი. **ერ, არ** – უარის თქმა“. „**ვერ** – ვერასავით; „**ვერა** – არ ძალ-მიც ქმნა“. „**ნუ** – არა ქმნა(ა)“ (სულხან-საბა). შდრ.: ქველ-ისეული განმარტება:

„**არ, არა** – უარყოფითი ნაწილაკი; იხმარება ზმნასთან (შესაძლებლობა-შეუძლებლობის ჩვენების გარეშე. შდრ. **ვერ**). არ გეტყვი. არ შეიძლება“. „**ვერ, ვერა** – უარყოფითი ნაწილაკი; იხმარე-

ბა ზმნასთან და აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება შეუძლებელია (ვინმესთვის). ვერ დაგეწიე. ვერ გაივლის“. „**ნუ** – უარყოფითი ნაწილაკი; იხმარება ზმნასთან და აღნიშნავს, რომ ესა თუ ის მოქმედება არ უნდა შესრულდეს. ნუ გააკეთებ! ნუ წახვალ!“

წარმოდგენილი განმარტებებიდან გამომდინარე, წარმოჩნდება **არ**, **ვერ** და **ნუ** უკუთქმით ნაწილაკთა ფუნქციურად განსხვავებული მორფო-სინტაქსური მახასიათებლები, კერძოდ: არ ნაწილაკით გამოიხატება ოდენ ფაქტი მოქმედების შეუსრულებლობისა (საკუთრივ აკრძალვისა), ვერ ნაწილაკით – მოქმედების შესრულების შეუძლებლობა, ხოლო ნუ ნაწილაკით – მოქმედების აკრძალვის მოთხოვნა.

II. თუმცა, დავით ჩუბინაშვილი თავისი სალექსიკონო განმარტებით, განსაზღვრავს ნუ უკუთქმითი ნაწილაკის ფრიად საგულისხმო, კონკრეტულ ფუნქციურ მახასიათებელს, შდრ.:

„**არ**, **არა** – უკუთქმითი მარცვალი. ნახე **ვერ**. არა დაიდების ბრძანებითს სქესში [კილოში – მ. დ.], რომლისაც დრონი მოღებულ არიან სათუოს სქესისაგან. გარნა ნუ დაიდების ბრძანებითს სქესში, რუს. не“. „**ნუ** – უკუთქმა ბრძანებითი не, ни; იგივე საწადისად, ვედრებითად, да не, дабы не, ни, нини. ფსალმ. 4, 4; 6, 1; ნუა, ე. ი. ნუ არის, да не будет!“. „**ვერ**, **ვერა** – უკუთქმითი ზმნის ზედა, მნიშვნელი შეუძლებლობისა, გარნა არა უნდომობისა. ამისთვის ვერა იხმარების ნაცვლად ზმნისა – არ ძალმიძს, არ შემიძლიან“.

მოცემულ განმარტებებში აღბეჭდილია ნუ უკუთქმითი ნაწილაკის ნიშანდობლივი მორფო-სინტაქსური ფუნქცია: ქართველი ლექსიკოგრაფი საგანგებოდ შენიშნავს, რომ ნუ უკუთქმითნაწილაკიანი ზმნა-შემასმენლით გამოიხატება მოქმედების აკრძალვა – „საწადისად, ვედრებითად“ (შდრ. ძვ. ქართ. წადილი „სურვილი; მისწრაფება; ზრუნვა; სიყვარული“), ანუ **თხოვნა-ვედრებით** მოქმედი აკრძალვა. საპირისპიროდ ამისა, არ უკუთქმითნაწილაკიანი ზმნა-შემასმენელი **კატეგორიული**, მოთხოვნით-ბრძანებითი შინაარსის შემცველია, ხოლო ვერ, ვერა უკუთქმითი ნაწილაკი ზმნა-შემასმენელს სძენს არა აკრძალვის ან არასასურველობის შინაარსს, არამედ გვითითებს მოქმედების **შეუძლებლობაზე**, **ვერშეძლებაზე**,

შდრ.: **არ** განიკითხო! – **ნუ** განიკითხავ! – **ვერ** განიკითხავ. არ გააკეთოს! – **ნუ** გააკეთებს! – **ვერ** გააკეთებს.

III. ამ თვალსაზრისით, წმინდა სახარებაში ჩაწერილი საუფლო სწავლებიდან ყურადღებას იქცევს **ნუ** უკუთქმითნაწილაკიანი ზმნა-შემასმენლის შემცველი მცნება-შეგონებანი: „და რაჟამს ილოცვიდეთ, **ნუ** მრავალსა **იტყვთ**“ (მათე 6, 7), „**ნუ ჰზრუნავთ** სულისა თქუენისათჳს, რაჲ სჭამოთ და რაჲ სუათ“ (მათე 6, 25), „**ნუ განიკითხავთ**“ (მათე 6, 1), „**ნუ მისცემთ** სიწმიდესა ძალლთა, **ნუ დაუფნოთ** მარგალიტსა თქუენსა ღორთა“ (მათე 7, 6), „**ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ დააკლებ** კეთილი ყოფად“ (მარკოზი 10, 19; შდრ. იგივენი **არ** ნაწილაკით – ათი მცნებიდან!).

ჩანს, სახარებისეულ საუფლო მცნებათა ქართულ ენაზე თარგმნისას, ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში საფუძვლიანად განსწავლულმა ჩვენმა დიდებულმა წინაპარმა სათანადოდ გაითვალისწინა ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანება იმის შესახებ, რომ ყოველთა მზრუნველი უფალი იესო ქრისტე საღმრთო სწავლებასა და რჯულის აღსრულებას მზრმანებლურად, კატეგორიული მოთხოვნებით კი არ შეგვაგონებს, არამედ სიყვარულით, თხოვნა-ვედრებით მოგვმართავს ისევე, როგორც მშობელი მამა ევედრება ხოლმე საყვარელ შვილს, **ნუ წარიწყმედ** თავსო.

ამასთან, წმიდა მამათა ზემოხსენებული თარგმანების ჯერონად აღბეჭდისათვის, ქართველ მთარგმნელს ხელთ ეპყრა ჩვენი მდიდარი, მადლიანი ენის შეუდარებელი ლექსიკურ-გრამატიკული საშუალება – ქართულ უკუთქმით ნაწილაკთა მორფო-სინტაქსური ფუნქციური მრავალფეროვნება, რასაც მოკლებულია სხვა არაერთი ენა, შდრ. იმავე უკუთქმით ნაწილაკთა შემცველი საღმრთოო შეგონებანი ინდო-ევროპულ ენებზე წმიდა წერილიდან (უწინარესად, ხუთწიგნეულსა და წმიდა სახარებაში). საგულისხმოა ისიც, რომ არამეულში უკუთქმითი ნაწილაკით **İ̇** „არ, არა“ ოდენ **კატეგორიული** აკრძალვა გამოიხატება, ხოლო ნაწილაკით **al** „ნუ; არ“ – უმთავრესად **თხოვნით-ზრმანებით** აკრძალვა.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული ირიათო//ირიართო სიტყვათა წარმომავლობისათვის

მეგრულში დასტურდება **ირიათო** || **ირიართო** (ზმნზ.) „სულ, სულ მუდამ, განუწყვეტლივ, გამუდმებით, ერთთავად“ (ო. ქაჯაია, ა. ქობალია). მოცემული ფუძეები შეიძლება დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად: მეგრ. **ირ-**ი – განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ყოველი, ყველა, თითოეული (სადაც **ირ-** ფუძეა, **-ი** – სახელობითი ბრუნვის ნიშანი), **ათ-** „ერთი“ რიცხვითი სახელი მიღებულია **რ-**ს დაკარგვით მეგრ. **ართ-**ი „ერთი“ ფორისაგან, **-ო** ბოლოსართი მეგრულში ვითარებითი ბრუნვის ნიშანია. მაშასადამე, ***ირ-ი-ათ-ო** ← ***ირ-ი-ართ-ო** * „ყოველი ერთად“ ← ***ირ-ი-ართ-ი** * „ყოველი ერთი“.

დასახელებულ ფუძეებთან განვიხილავთ მეგრ. **ირიართოიანი** (***ირ-ი-ართ-ო-იან-ი**) „საყოველდრო, სამარადისო, მარადიული, გამუდმებული“, **ირართონი** (**ირ-ართ-ო-ნ-ი**) „მარადისი“, **ირიათონი** (**ირ-ი-ათ-ო-ნ-ი**) „მარადისობა“ (ა. ქობალია) ლექსემებს. ისინი წარმოქმნილი სახელებია, რომლებშიც საყრდენად გამოიყოფა იგივე მეგრ. **ირ-**ი – განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, **ართ-**ი „ერთი“ რიცხვითი სახელი და ქონების მაწარმოებელი **-იან** სუფიქსი. ძირები და მაწარმოებლები ფონეტიკური ვარიანტით არის წარმოდგენილი.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა , კ ო ბ ა მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა , ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

ლაზეთსა და სამეგრელოში მივლინების შედეგები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეგრულ-ლაზურ ფრაზეოლოგია“ (31/15) ფარგლებში, V პერიოდის განმავლობაში (2015.15.04 – 2015.15.10), დაგეგმილი იყო მივლინება ლაზეთსა და სამეგრელოში.

მივლინების მიზანი იყო გამოქვეყნებული ლექსიკონებიდან და ტექსტებიდან ამოწერილი მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების, ასევე წინა მივლინებისას მოპოვებული მასალის გადამოწმება და ახლით შევსება, აგრეთვე, სათანადო საილუსტრაციო მასალის ჩაწერა, რაც საკმაოდ რთულია ლაზურის შემთხვევაში, რადგან თურქეთში მცხოვრები ლაზები უმეტესწილად ინსტიტუტურად იცვლიან სამეტყველო კოდს (ლაზურიდან თურქულზე გადადიან).

პროექტის მონაწილეები – ეთერ შენგელია, კობა მითაგვარია და ნათია ფონიავა – მივლინებაში ვიმყოფებოდით 2015 წლის 3–21 სექტემბრის ჩათვლით, კერძოდ, ლაზეთში – ხელვაჩაურის მუნიციპალტეტის სოფ. სარფში (საქართველო) 3–8 სექტემბერს, ხოლო ართვინისა და რიზეს პროვინციებში (თურქეთი) 8–16 სექტემბერს; 17 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით მივლინება შედგა სამეგრელოში (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ ჭოლა – ეთერ შენგელია, ნათია ფონიავა; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჯვარი – კობა მითაგვარია).

მივლინებისას ჩავიწერეთ სხვადასხვა ასაკისა (17-დან 90 წლამდე) და პროფესიის ადამიანთა მეტყველება. ახალი მასალის მოპოვების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ფრაზეოლოგიზმების გამოკითხვა ქართული იდიომების მიხედვით როგორც ლაზეთში, მაგ., ლაზ. **ლუქუნათე ოგოუში** „იშვიათი, ძნელად საშოვარი რაიმე (ვინმე)“, ზედმიწ. „სანთლით საძებარი“; ლაზ. **შქა მემოჭკოდუ** „ძალიან დავიღალე“, ზედმიწ. „წელი მომწყდა“, ისე სამეგრელოში, მაგ., **ლაგვანს ინოხე** „არ იცის, მის გარშემო რა ხდება, ყველაფერს ჩამორჩენილია“, ზედმიწ. **„ჭურში ზის“**. მეგრული მასალის მიხედვითაც გამოვლინდა არაერთი ლაზური ფრაზეოლოგიური ერთეული, მაგ., ლაზ. **ხეს ლუქუნა ქოდოლომიჭუ** „იმედი გამიცრუა, პირობა არ შეასრულა“, ზედმიწ. „ხელში სანთელი ჩამიწვა“; შდრ. მეგრ. **ხეს სანთელი ქაშმოჭუ**. ცხადია, აქ იგულისხმება მეგრულისა და ლაზურისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ფორმები და არა ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმის პირდაპირი თარგმანი.

მასალა გადამოწმდა ლაზური და მეგრული კილოკავების მიხედვით. ეს მრავალმხრივ საინტერესო სურათს იძლევა, მით უფრო, ლაზურის შემთხვევაში, რომლისთვისაც უფრო დამახასიათებელია კილოკაური დიფერენციაცია.

მიღებული შედეგები ასახვას პოვნებს მონოგრაფიასა და ლექსიკონებში, რომელთა მომზადება ივარაუდება პროექტის ფარგლებში.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

შენიშვნები მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების თემატური ჯგუფების შესახებ

1. ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნით წარმოებდეს – სემანტიკური ან თემატური თვალსაზრისით. პირველი კლასიფიკაცია ითვალისწინებს ფრაზეოლოგიზმების როგორც საერთო შინაარსს, ისე მისი თითოეული კომპონენტის სემანტიკას; თემატური კლასიფიკაციის მიზანი კი ის არის, რომ წარმოადგინოს ფრაზეოლოგიზმების ზოგადი მნიშვნელობა და გამოავლინოს მეტყველებაში მათი გამოყენების შემთხვევები, ამგვარად, თემატური კლასიფიკაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სემანტიკური კლასიფიკაციის გაგრძელება.

2. მრავალ ენაში, მათ შორის – ქართველურ ენებში და კონკრეტულად – მეგრულ-ლაზურში ადამიანის სხეულის ნაწილის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ყველაზე მრავალრიცხოვანია. აქტიურობით განსაკუთრებით **გური** „გული“ გამოირჩევა. შინაარსობრივად ეს ფრაზეოლოგიზმები ადამიანის სულიერ განცდებს გამოხატავს.

მხედველობითი აღქმის შედეგად აღძრულ გრძნობებს გადმოსცემს ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც **თოლი** „თვალი“ საყრდენ სიტყვად წარმოგვიდგება.

საკმაოდ ხშირია მეგრულ-ლაზურში „თავის“, „ყურის“, „ენის“, „კისრის“, „ხელის“, „ფეხის“ აღმნიშვნელ სიტყვათა გამოყენება.

3. ამ ჯგუფში მხოლოდ პირობით შეიძლება განვიხილოთ **შური** „სული“, რადგან ის მმატერიალური საგანი არ არის („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, სული არის ადამიანის ფსიქიკურ უნართა ერთობლიობა, არამატერიალური საწყისი, ადამიანის სულიერი სამყარო...). წინასწარი მონაცემით, ფრაზეოლო-

გიზმები, რომლებიც საყრდენ სიტყვად იყენებენ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს, დიდი სიხშირით გამოირჩევა და ამ მხრივ სიტყვათა ხუთეულში შედის („გულთან“, „თავთან“, „თვალთან“, „ხელთან“ ერთად).

4. ცალკე გამოსაყოფია ფრაზეოლოგიზმების ის ჯგუფი, რომლებშიც რწმენასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები შედის. ეს ფრაზეოლოგიზმები ასახავენ ადამიანის დამოკიდებულებას როგორც ღმერთთან, ისე ბუნების (კეთილ თუ ბოროტ) ძალებთან.

5. ადამიანის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ახასიათებენ მას სხვადასხვა (გარეგანი თუ შინაგანი) თვისების (ნიშნის) მიხედვით.

6. არსებითი სახელების გარდა, ფრაზეოლოგიზმებში საყრდენ სიტყვებად შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა მეტყველების ნაწილებით (ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა...).

7. ფრაზეოლოგიზმები შესიტყვებებია – სახელური თუ ზმნური; ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმის სინტაქსური სტატუსის განსაზღვრა შემდგომი კვლევის შედეგად უნდა გაირკვეს.

იზაჩანტლამე, რუსუდან იოსელიანი

კოდორული მეტყველების ასახვისათვის „ზემოსგანურ მორფემულ ლექსიკონში“ (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმდინარე საგრანტო პროექტი 31/03)

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ კოდორული და ჩოლურული მეტყველების სპეციფიკა აუცილებლად უნდა იქნეს ასახული ნებისმიერ სვანურ ლექსიკონში. სამწუხაროდ, აქამდე ამ საკითხის გათვალისწინება ვერ მოხერხდა, რადგანაც ჩვენს მასწავლებლებს ფაქტობრივად არანაირი მასალა არ ჰქონდათ ხელთ. ღვთის წყალობით, ამჟამად „კოდორული ქრონიკების“ ფუნდამენტური პუბლიკაციით (2007-2010 წ.წ.) სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორდა; იმედია, მალე გვექნება ჩოლორული ტექსტებიც ლექსიკონითურთ.

ვფიქრობთ, რომ საკუთრივ სვანური ენის ფონემატურ-გრამატიკულ სტრუქტურასა და ამოსავალ ლექსიკაზე მსჯელობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც კოდორულ მეტყველებას ენიჭება, რადგანაც, ის ისე არ განიცდის ბილინგვურსა თუ დიგლოსიურ გავლენებს, როგორც ჩოლორული, რომელიც უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით „გაქართულდა“.

ის, რაც კოდორის ხეობელთა მეტყველებაში ზემო სვანეთიდან ჩასახლების შემდეგ არ შეცვლილა, მიუხედავად საუკუნუნახევრის ხანგრძლივობისა, ჩვენს ლექსიკონში ვერ მოხვდება, რადგანაც ანალოგიური ლექსემები თუ გრამატიკული ფორმები მასში ისედაცაა წარმოდგენილი შესაბამის აბრევიატურებთან (**ბზ.** ან **ბქ.**); რაც შეეხება იდენტურ ზემოსვანურ მონაცემებს, აქ გამოყენებული გვაქვს შემდეგი შემოკლებანი: **ზს.** (ენგურის ხეობისთვის) და **კოდზს.** (კოდორის ხეობისთვის).

საკმაოდ რთულია დიალექტთა ინტერფერენციული მონაცემების ჩვენება ლექსიკონში (აბრევიატურა **ინტერფ.**), რადგანაც ხშირად ამა თუ იმ ლინგვისტურ მოვლენას კონკრეტული კვლევა სჭირდება, რაც ძალზე შრომატევადია ან ბევრ ფიქრს მოითხოვს, მთავარი კი ისაა, რომ ამდენი შრომის შედეგების ლექსიკონში ასახვა ზოგჯერ ვერც კი ხერხდება.

ძალზე ადვილია ისეთი შემთხვევების ახსნა, როცა ბალსზემო ტერიტორიიდან გადასახლებულ მთქმელს დედა, ბებია ან მეზობელი ბალსქვემოელი ჰყავს, და პირიქით! – ყოფილი ბეჩოელი, ცხუმარელი, ეცერელი ან ჩუბხეველი ბალსზემოური დიალექტისთვის დამახასიათებელ ლექსემებსა თუ გრამატიკულ ფორმებს (იშვიათად ფონემებსაც) იყენებს ანალოგიურ შემთხვევებში.

ვფიქრობთ, ძალზე გავირთულეთ საქმე პრევერბიან ფორმათა ლექსიკონში ფიქსაციასთან დაკავშირებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩვენი გააზრება უფრო ასახავს რეალურ ვითარებას, ვიდრე ეს იყო სპეციალურ ლიტერატურასა თუ სვანურ პუბლიკაციებში, თუმცა ტმესის შემთხვევებსა და ინვერსიულ წყობაში ყველაფერი მთლად ნათელი არ არის.

„ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი“ ემყარება შესაბამისი ელექტრონული პუბლიკაციების მიხედვით შედგენილი ინდექსის პროფ. ი. გიპერტისეულ ვარიანტს, ხოლო კოდორული მეტყველებისთვის – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტი-

ტუტის კომპიუტერულ განყოფილებაში შემუშავებულ მასალებს (ხელმძღვანელი ლ. ვაშაკიძე). პირველ შემთხვევაში ე. წ. წინდებულ-თანდებულები (აკად. ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით) ინდექსში ცალკეა მითითებული (შესაბამისი ზმნების გარეშე) გამოცემის გვერდისა და სტრიქონის აღნიშვნით, ხოლო კოდორის ხეობის მასალაში, ჩვენი ინიციატივით, თანხმობებით დაწყებული ზმნები შესაბამის პრევერბებთან სინკრეტულადაა წარმოდგენილი (ბზ. **სგა ლამბუტრდა** – კოდბზ. **სგალამბუტრდა** „შემხვდა“, ბზ. **ქა ლამმმ** – კოდბზ. **ქალამმ** „მომცეს“, ბქ. **სგა კედნი** – კოდბქ. **სგაკეადნი** „შემოვა“ და ა. შ.). ზს. პუბლიკაციებისა და, შესაბამისად, ინდექსის სტილი რომ დაგვეტოვებინა, ერთი და იმავე მნიშვნელობის ზმნა ლექსიკონში სხვადასხვა ასოზე მოხვდებოდა, ამასთანავე, სემანტიკური მხარეც გაბუნდოვანდებოდა ან, საერთოდ, შესატყვისი ქართული ლექსემის პარალელად არ გამოდგებოდა (**ყიხუამზგრიდ** არის „შეველოცავთ“, ხოლო **ხუამზგრიდ** „ველოცავთ“ იმ დროს, როდესაც **ყიხაირა** – „აწერია“, **ჩუხახალდა** „იცოდა“, **ჩულგგ** „დგას“ იქნეოდა თუ განსხვავებული ორთოგრაფია – **ყი ხაირა / ჩუ ხახალდა / ჩუ ლგგ**, სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა არ შეიცვლებოდა... საქმეს ისიც ართულებს, რომ ზოგიერთ პრევერბს (**ქა-**, **ჩუ-**) ხანდახან მოქმედების გამლიერებითი ან დადასტურებითი ასპექტების გამომხატველი ნაწილაკის ფუნქციაც აქვს, რასაც გარკვეული ცვლილებები შეაქვს სემანტიკურ ნიუანსებში.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საუკუნეა ქართველოლოგებს სამაგიდო წიგნად გვაქვს ვ. თოფურიას ბრწყინვალე ნაშრომი „სვანური ზმნა“, მაინც გარკვეული სტრუქტურები თუ სემანტიკათა სეგმენტაცია დღემდე ნათელი არ არის.

„ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი“ პირველად კეთდება, ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, თუ არაერთ სირთულეს წავაწყდებით.

აკაკის ფრაზა ქეგლში, როგორც ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულება

მიმდინარე წელი აკაკის საიუბილეო წელია; იუნესკოს ეგიდით აღინიშნება აკაკის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავი; ამ მოვლენას მრავალგვარი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში და არაერთი ღონისძიება მიეძღვნა. ამ მიმართულებით ჩვენ შევეცადეთ აკაკის ენის ლექსიკოგრაფიული რაკურსი წარმოგვეჩინა.

ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია დოკუმენტირებას ძირითად ლექსიკოგრაფიულ პარამეტრად მოიაზრებს. საგულისხმოა, რომ ე. წ. „პარამეტრთა თავისუფლების კანონი“ საკითხისადმი ამგვარ მიდგომას არ ზღუდავს (შდრ. ცენტრიდანული და ცენტრიკენული ტენდენციების არსებობა ენის ლექსიკოგრაფიულ პარამეტრიზაციაში – დაწვრ. იხ. ჩვენი ნაშრომი „ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002, გვ. 80-81).

ქეგლში ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია ცენტრიკენული ტენდენციისაა. ქეგლის წინასიტყვაობის თანახმად, ეს ლექსიკონი არის: სალიტერატურო ენის, განმარტებითი, ფილოლოგიური, ნორმატიული, დოკუმენტირებული ლექსიკონი.

ქეგლი პირველი ქართული ლექსიკონია, რომელშიც სისტემატური დოკუმენტაცია შევიდა. უდავოდ სისტემატური დოკუმენტირების ფაქტმა, ყველა ძირითად ლექსიკოგრაფიულ კოორდინატსა და პარამეტრთან ერთად, განაპირობა ქეგლის ბაზისური მნიშვნელობა მომდევნო პერიოდის ლექსიკოგრაფიული (და არა მხოლოდ) შრომებისათვის. არნ. ჩიქობავა ქეგლის წინასიტყვაობაში წერს: „თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა დაფუძნებულია ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედებაზე... თუ განმარტებითი ლექსიკონის დოკუმენტაციაში ყველაზე ხშირად ილიას, ვაჟასა და აკაკის ვიპოვით, ეს ბუნებრივად და კანონზომიერად უნდა ვცნოთ“ (ქეგლი, ტ. I,

თბ., 1950, გვ. 008). დოკუმენტირების საკითხი ასევე უმნიშვნელოვანესია ქეგლის ახალ რედაქციაში.

სისტემატური დოკუმენტირებისას ის ფაქტი, რომ მწერლის ენის ლექსიკონები დიფერენციული ტიპისაა ზოგადად და მითუმეტეს ქეგლში წარმოდგენილი „მწერლის ენის ლექსიკონები“, სწორედ იმ კანონზომიერების გამოვლენას ემსახურება, რასაც ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია წარმოაჩენს სალექსიკონო სტატიის ილუსტრაციათა ზონაში.

მაშ, აკაკის ფრაზა, როგორც საილუსტრაციო ერთეული და, როგორც ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულება, მაგრამ რატომ მაინცდამაინც აკაკის ფრაზა? სწორედ აკაკისავე ფრაზით რომ ვთქვათ: „აქ რაღაც განგების ნება არის“.

ერთი მხრივ, თუკი „აკაკის ენის ლექსიკონს ქეგლში“ სასვე-ბით კანონზომიერად, მეტ-ნაკლები თანასწორობით, სხვა მწერალთა ენის ლექსიკონებიც დაუდგება, მეორე მხრივ, აკაკის ფრაზა, როგორც ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულება, სრულიად შეუდარებელია. ის, რომ მხოლოდ აკაკის ილუსტრაციებით დოკუმენტირდება ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგ.: აბზეკს, აბზეკინებს, აბოდებს, ააღფერებს, აარსებს, ააღლინებს, ააჭყლობინებს, ადარებს², ადიადებს (მნიშვ. 2), აეხსნება², აკაკანება, ამოდმორწმუნე, ამოდმორწმუნეობა, ამიერ, ამილახვრობა, ამოადებს, ამობრწყინება, ამოიგლიჯება, ამოიჟინებს, ამოჟინება, ამოჟინებული, ამოსკუპება, ამოსრესა, ასაწაპნავი, აუგზნებს, აუკულმართებს, აუქდურტულდება, აქალაჩუნებს, აჩეხინებს, აჩვევს (მნიშვ. 1), აჩვენებს², აჩვილებს, აჩიქორთულებს, აცულებს, აძახებს, აწამებს², აწვება (მნიშვ. 2), აწინასწარმეტყველებს, აწუწკუნებს, აწყალებს (მნიშვ. 2), აწყენს², აჭიბაჭიობა, აჭიჭყინებს, აჭყავლებული, ახსნილი², ფრაზეოლოგიზმები: ◊ გვერდის ავლა, ◊ სულის ამოღება, ◊ ჭიანურს (ჭიანურით) აუკიდებს, ◊ ცამდე (ცამდის) აყვანილი, ◊ თვალზე ცრემლი არ აშრება, ◊ თითით აჩვენებს, ◊ ბეჭედი ამევს, ◊ გვერდის ახვევა და სხვა, მიუთითებს პირველ რიგში მწერლის ენის ლექსიკონის დიფერენციულ ტიპურობას (მსგავსი ვითარება სხვა მწერლებთან და სხვა სიტყვებთანაც გვაქვს (რაოდენობრივი მაჩვენებელი აქ გადაწყვეტი ვერ იქნება) და ესეც ბუნებრივი და კანონზომიერია!), მეორე მხრივ კი, სათანადო სადოკუმენტაციო მასალის ნაკლებობით აიხსნება, რაც ქეგლის პირველი რედაქციის შემთხვევაში ნამდვილად

აქტუალური იყო, ახალი რედაქციის შემთხვევაში კი ეს პრობლემა, ფაქტორივად, აღარ არსებობს.

აკაკის ლექსი „ქართული «ან-ბანი»“ (1875 წ.) ზემოთ ნახსენები განგების ნებით, ქართულ პოეზიაში იმითაც გამოირჩა, რომ იგი თითქმის სრულად (სათანადო ადგილას) შედის ქეგლის ორივე რედაქციაში. ამგვარი ლექსიკოგრაფიული ბრწყინვალეობა, ცხადია, ლექსის შინაარსმა და ესთეტიკურმა მხარემ განაპირობა (ეს ლექსი ნამდვილი ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენია!). ასე იწყება ქეგლი: ა¹ 1. პირველი ასო ქართულ ანბანში; მისი სახელია ან-ი: ყმაწვილო, თუ გასურს გიყვარდეს შენი სამშობლო ძალიან, ჯერ წიგნი უნდა ისწავლო... პირველი ასო არის ა[ნ] (აკაკი). და ასე აკაკის ფრაზით ანიდან ჰოემდე (მხოლოდ ასო რ[აე]ს გამოკლებით) სისტემატურად დოკუმენტირდება ქართული ანბანთრიგი. ვფიქრობთ, რ[აე]ს გამონაკლისობა ამ რიგიდან არაკანონზომიერია; მოხსენებაში წარმოვადგენთ მსჯელობას ქეგლში აკაკის ფრაზის, როგორც ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის მტკიცებულების თაობაზე.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ხათური (პროტოხეთური) ენის ქართველური იზოგლოსებისათვის

ხათური ენა იბერიულ-კავკასიური ენებიდან ჩერქეზულ (აფხაზურ-ადიღურ) ჯგუფთან ავლენს მეტ სიახლოვეს, აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ჩანს ხათურ-ჩერქეზულ ენობრივ ერთობაზე საუბარი, თუმცა ნათქვამი არ გამორიცხავს ქართველურ ენებთან მის ასევე სიახლოვეს. ხათური ენის გარკვეული თვისებები (მახასიათებლები) მხოლოდ ამ უკანასკნელის მონაცემებით იხსნება, რასაც ანალოგი არა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ქვესისტემებში:

1. ხათური ენის სვანურისებური თვისებები:

ა) სვან. **დეს(ა)** „უარყოფითობის აფიქსი“: ხათ. **თVშ** „id“;

ბ) სვან. **ლა-** „მრ. რიცხვის კონფიქსის პრეფიქსული ნაწილი“ – **დი** „დედა“, **ლა-დი-ა** „დედები“ : ხათ. **ლე-** „მრ. რიცხვის პრეფიქსი“ –

ლე-ზარ- „ცხვრები“. მრავლობითის პრეფიქსული წარმოება უნიკალური მოვლენაა როგორც ხათურში, ისე სვანურში. სხვაგან ის არ ჩანს.

2. ხათური ენის ზანურისებური თივისებები:

ა) ზან. (მეგრ.) **ენა** „ეს“ : ხათ. **ანა/ანნა** „ეს“;

ბ) ზან. აწმყოსეული წყების **-ე** სუფიქსი – „რწყ-**ე**-ნ „ხედავს“, უ-რჩქილ-**ე**-ნ „უსმენს“ : ხათ. **-ე**- „აწმყო დრ. სუფიქსი“.

გ) ზან. (ლაზ.) **-ეფე** „მრ. რ. სუფიქსი“ : ხათ. **-ფე/-ფი** „მრ. რ. აფიქსები“.

3. ხათური ენის ქართულისებური თვისებები:

ა) ქართ. **ის**-(ი) „III პ. ნაცვ.“ : ხათ. **ემ** „იგი“;

ბ) ქართ. **სე/-სი**- „მორფ. თავსართები“ : ხათ. **შე/-ემ**- „სახელური პრეფიქსები“.

4. ხელშესახებია ხათურ-ქართველური ლექსიკური პარალელები, რაც ასევე უნიკალური ჩანს:

ხათ. **ზუტა** „ცოლი“ : ქართვ. ***ძუტ-ე** „მდედრი, ძუ“, ძვ. ქართ. **ძუტ-ი**, ზან. (მეგრ.) **ჯუ**-ა „ძუ“, შდრ. ზმნური ა-მ-**ძუტ**-ნ-ებ-ა;

ხათ. **ფშუნ** „სული“ : ქართ. **მშტინ**-, სა-**მშვინ**-ვ-ელ-ი;

ხათ. **ფეშ/ფეშ** „შეხედვა“ : ზან. (მეგრ.) ო-**ფსინ**-უნ „ეყურება, ხედავს, აცნობიერებს“;

ხათ. **ფიფ** „ქვა“ : ზან. (მეგრ.) **ფაფალა** „კლდოვანი ნაპირი ხრამისა (მდინარისა)“;

ხათ. **ზული** „წყალი“ : ქართ. (ფერეიდნ.) **ძილილა** „ღლეე ორ გორს შუა“;

ხათ. **ზარ** „ცხვარი“ : ქართ. **ზვარ**- „ზვარაკი“;

ხათ. **ჰუცა**-შა „მჭედელი“ : ქართ. **ხოჭ**-ი „რკინის ბარჯი“ (საბა);

ხათ. **შაჰ** „ავი, მრისხანე“ : ზან. (მეგრ.) **შხ**-აფ-ა „შერისხვა“, შდრ. ძვ. ქართ.: **სხ**-ამ-ი „შხამი“;

ხათ. **ჰუნ** „დიდი“, great : ქართვ. **ქონ**- „ქონი“;

ხათ. **დედ/დიდ** „დიდი“ : ქართვ. **დიდ**- „დიდი“;

ხათ. **ციფ** „პატარა“ : ქართ. (იმერ.) **ციფ**-ო „გამხდარი“, სვან. **ჩტეფ-/ჩტეფ**- „დნობა“;

ხათ. **შტ-ა/შუ**- „ჯდომა, დასმა“ : ქართვ. **სტ**- „დასმა“;

ხათ. **შა** „სვლა“ : ზან. (მეგრ.) მი-ბ-**შ**-ი „მივდიოდი“, მი-ბ-**შ**-ათ „წავიდე“;

ხათ. **შუჰ** „შენახვა“ : სვან. **შხ**-უნ- „შენახვა“, ო-**შხუნ** „შეინახა“;

ხათ. **შუმბილ/თუმბილ** „წვიმა“ : ***სტოტლ**- „თოვლი“...

ყოველივე ზემოთ მოხმობილი, გენეტიურად საერთო, მასალებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხათური ენა გარდამავალ საფეხურს ქმნიდა საერთოსინდურიდან ქართველური ენების მიმართულებით.

პ ა ა ტ ა ც ხ ა დ ა ი ა (თბილისი),
ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა (მარტვილი)

ქალაქ თბილისის ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და მიკუთვნების პრინციპების შესახებ

ურბონიმი (შიდასაქალაქო ობიექტის საკუთარი სახელი) საუკუნეების მანძილზე ყალიბდება და, როგორც წესი, ისევე ამშვენებს ქალაქს, როგორც თვით ქუჩა, მოედანი, სკვერი. იგი ჩართულია ქალაქის ცხოვრების რიტმში, ქცეულია მის განუყოფელ ნაწილად, **ერთგვარ ისტორიულ ძეგლად**, რომლის ხელყოფა მოსახლეობისათვის ისევე მტკივნეულია, როგორც ხისთვის ტოტის მოჭრა...

გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით 90-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, და XXI საუკუნეშიც, ვითარებამ მოითხოვა თბილისის მრავალი ქუჩისათვის სახელის შეცვლა. ამ მიმართულებით ადრე ქალაქის მერიას სათანადო კონსულტაციებს უწევდა ე. წ. მრჩეველთა საბჭო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საქმეში დღემდე არსებობს მრავალი ხარვეზი. ისტორიზმის პრინციპით წარმოქმნილი მრავალი მშვენიერი ურბონიმი შეიწირა პიროვნების ხსოვნის უმაღლე უკვდავყოფის მანიამ. ღირსეულ პიროვნებას ერმა, რა თქმა უნდა, პატივი უნდა მიაგოს, მაგრამ, ჯერ ერთი, საამისოდ ქუჩისთვის სახელის შეცვლის გარდა, არსებობს სხვა საშუალებანიც, და მეორე: თანამედროვენი, მით უმეტეს თანამზრახველნი, ჩვეულებრივ, სუბიექტურნი არიან და ამიტომ უმჯობესია, ამა თუ პიროვნების მიერ ერისთვის გაწეული სამსახურის სიდიადე მომდევნო თაობებმა შეაფასონ...

ქალაქის ურბონიმიისადმი დამოკიდებულებაში არსებული მთავარი მანკიერება მაინც თვით პრინციპშია, რაც შეიძლება გამოიხატოს ფორმულით – „არის პიროვნება – მოიძებნოს ქუჩა“. სინამდვილეში კი უნდა დომინირებდეს საპირისპირო მიდგომა: „არის ქუჩა (უსახელო ან სახელდაწუნებული) – შეირჩეს პიროვნება, რომლის სახელიც მას მიეკუთვნება“.

მაშასადამე, ურბონიმის შეცვლა გამოწვეული უნდა იყოს არა ამა თუ იმ დამსახურებული პიროვნების ხსოვნის უკვდავყოფის საჭიროებით, არამედ თვით ობიექტისათვის სახელის გადარქმევის აუცილებლობით. ამით დაცული იქნება ისტორიული სამართლიანობა, მოსახლეობა ასცდება შესისხლხორცებული სახელის დავიწყებისა და ახლის შეჩვევის მტკივნეულ პროცესს (ასე, მაგალითად, სიმონ ჩიქოვანის ქუჩას დღესაც ხილიანის ქუჩას უწოდებენ). ამის გარდა, ქუჩისა თუ მოედნისათვის სახელის შეცვლა დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან, ქმნის გარკვეულ სიძნელეებს ფოსტის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო რაზმების, ტაქსის ფუნქციონირებაში. სხვათა შორის, ამგვარსავე სირთულეებს იწვევს აგრეთვე ერთი ქუჩის სახელის გადატანა სხვა ქუჩაზე, ერთი და იმავე პიროვნების სახელის მატარებელი რამდენიმე შიდასაქალაქო ობიექტის არსებობა და სხვ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია:

1. დაისვას საკითხი მთავრობის წინაშე, რათა ამა თუ იმ დამსახურებული პიროვნების უკვდავყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალში არ იყოს გათვალისწინებული ქალაქ თბილისის ქუჩისათვის მისი სახელის აუცილებლად და დაუყოვნებლივ მიკუთვნება.
2. მერიაში/საკრებულოში შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც საკითხის გულდასმით შესწავლის შემდეგ შეარჩევს იმ ურბონიმებს, რომელნიც სპეციალური დადგენილებით **ჩაითვლებიან კულტურის ძეგლებად**, და, როგორც ასეთნი, კანონით იქნებიან დაცულნი ხელყოფისაგან (გადარქმევისაგან).
3. დანარჩენი ურბონიმები, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

ა. ურბონიმები, რომელთა შეცვლა არაა აუცილებელი;

ბ. ურბონიმები, რომელთა შეცვლა შესაძლებელია;

გ. ურბონიმები, რომელთა შეცვლა აუცილებელია.

საერთოდ, სოფლის სახელის შეცვლას, უკვე ტრადიციად ქცეული კანონის თანახმად, აუცილებლად სჭირდება ამ სოფლის მოსახლეთა უმრავლესობის მოთხოვნა. ქუჩის შემთხვევაშიც ასე უნდა ხდებოდეს.

მ ე დ ე (ი) ა ჭ ი კ ა ძ ე

როლის ცნების არსი და ადგილი ტერმინოლოგიურ სისტემაში

1. გასულ საუკუნეებშივე წინასწარმეტყველებდნენ, რომ XXI საუკუნის მეცნიერებაში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობოდა ჰუმანიტარულ დარგებს, რომელთა პრობლემებიდანაც უმთავრესად გამოიყოფოდა ე. წ. „სოციალური პერცეფციისა“ და ენის საკითხები.

2. ენის გადაუჭრელ პრობლემად მიჩნეულია ე. წ. არაზუსტი მეცნიერებების მიერ გამოყენებული მეტაენის, საყოველთაოდ მიღებული მეცნიერული სიმბოლოების დონემდე ფორმალიზაცია და ერთიან ცნებით სისტემაში გაერთიანება, რაც „სოციალური პერცეფციის“ პრობლემის გადაჭრის წინაპირობაცაა.

3. ასეთი სამეცნიერო ენის ასაგებად კი, აუცილებელია ერთეულის შერჩევა, რომელსაც დაეფუძნება მთელი კონცეპტუალური აპარატი და რომელიც გააერთიანებს მეტაენაზე დაფუძნებულ მეცნიერებებში არსებულ ცნებათა მთელ ერთობლიობას.

4. ასეთი ერთეულის მისიას საყოველთაოდ აკუთვნებენ ცნებას, აღნიშნულს თეატრალური სფეროდან მეცნიერებაში შემოსული სიტყვა – „როლით“. სწორედ ამ ცნებას და მასზე დამყარებულ ცნებათა კომპლექსს ეძღვნება ჩვენი თეორიული ნაშრომი, რომელიც საბოლოოდ პრაქტიკას მოემსახურება.

5. ხუთი ენის (ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული), მეცნიერებასა და ყოველდღიურ მეტყველებაში, სიტყვა „როლის“ ხელმისაწვდომი განმარტებების მოძიებამ ნათელყო, რომ ტრადიციული „ბარათული მეთოდი“ უძლური იყო ღირსეულად გამკლავებოდა განმარტებათა დიდ რაოდენობასა და მრავალფეროვნებას. გამოსავლის ძიებამ მიგვიყვანა მონაცემთა კომპიუტერული გაცხრილვის მეთოდიკამდე.

6. სწორედ ამ მეთოდიკის წყალობით შევიმუშავეთ სიტყვა „როლის“ ე. წ. „ყოვლისმომცველი განმარტება“, რომელიც შეესაბამება ამ ცნების ზემოთ თქმულ მისიას.

7. როლის სწორ განმარტებაზე დაყრდნობით კი შესაძლებელი გახდა, ფენომენის შიდა არსობრივი სტრუქტურის შემადგენლებისა და არსებობის იერარქიული სტრუქტურის დონეების დაზუსტებაც

8. ჩატარებული სამუშაო შესძლებლობას იძლევა ერთიან სისტემურ ენაში მწყობრად გავაერთიანოთ არა მარტო „სამყაროში არსებული ყველასა და ყველაფრის“ აღმნიშვნელი სიტყვები, არამედ ფენომენებიც. ეს კი უდაოდ სხვადასხვა სამეცნიერო დარგებსა, რელიგიებსა და ეზოთერიკაში გაზნეული ცოდნის გაერთიანების საწინდარიც გახდება.

9. ეს კი არის არა მარტო კრიზისში მყოფი მეცნიერების, არამედ ზოგადად სიცოცხლის „მაშველ რგოლად“ მიჩნეული შესაძლებლობაც.

ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე

გრძნობა-აღქმის გამომხატველი შორისდებულები ქართული ენის დიალექტებში

როგორც ცნობილია, შორისდებულები არ შედის არც დამოუკიდებელ, არც დამხმარე სიტყვათა კლასებში და მრავალი თავისებურებით გამოირჩევა. შინაარსის მიხედვით შორისდებულებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: გრძნობა-აღქმის, მოუბრის ნება-სურვი-

ლის და ფიცილ-ალერსის გამომხატველ შორისდებულებად. მათგან განსაკუთრებით მრავალფეროვანია გრძნობა-აღქმის შორისდებულები, რომელთა დიდი ნაწილი მოქცეულია დანაწევრებული და დაუნაწევრებელი მეტყველების ზღვარზე, ვერ თავსდება ენის ფონეტიკურ სისტემაში და წერით მეტყველებაში პირობითად გადმოიცემა.

შორისდებულთა ბგერითი მხარე განსხვავებულია როგორც სალიტერატურო ენის სხვადასხვა პერიოდის, ისე დიალექტების მიხედვით და სხვადასხვა დროის მიხედვითაც ერთისა და იმავე ადამიანის მეტყველებაში.

მოხსენებაში განხილულია სხვადასხვა დიალექტური არეალისათვის დამახასიათებელი გრძნობა-აღქმის შორისდებულები (**აგაჰმე** (ფშ.); **აბეჩავ** (ფშ.); **ოოვე** (სამცხ.-ჯავახ.); **იმე** (იმერ.)...), შორისდებულთა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები (**ბეჩავ**, **ბეჩა**; **ბჯო**, **ჯო**; **ვაჰ**, **ვაჰი**; **დედავ**, **დედაია**...) და განსხვავებული ფუნქციით გამოყენების შემთხვევები; აგრეთვე შორისდებულები, რომლებიც საინტერესოა გენდერული თვალსაზრისით.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

ერთი ფორმის დამკვიდრებისათვის ქართულში

„დღეს, როცა რელიგია ჩვენში აღარ იკრძალება, ეკლესიაც აღორძინების გზაზეა და საზოგადოებაც ხელახლა ეჩვევა დავიწყებულ საეკლესიო ტერმინოლოგია-ფრაზეოლოგიას, ყურადღებას იქცევს სულიერ მამათა მოხსენიებისა თუ მიმართვის ფორმების უმართებულოდ ხმარების ფართოდ გავრცელებული შემთხვევები.

ცნობილია, რომ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვა **მამა** რელიგიური მნიშვნელობით ხმარებისას აღნიშნავს როგორც ღმერთს (**მამა ღმერთი**, **მამაზეციერი**), ისე მის ამქვეყნიურ განმასახიერებელს – სასულიერო პირს. მიმართვისას ეს სიტყვა ჩვეულებრივი მშობლის აღმნიშვნელი სახელისაგან განსასხვავებლად, დამკვიდრებულია სპეციფიკური **მამაო** ფორმით, რომელიც განმარ-

ტებით ლექსიკონში განისაზღვრება, როგორც: „სასულიერო პირისადმი მიმართვის ფორმა“... სრულიად შეუწყნარებელია მამაო ფორმის გამოყენება იქ, სადაც მიმართვის კონტექსტი არა გვაქვს. დღეს კი საკმაოდ ხშირად გვესმის და ვკითხულობთ: „მამაო ამბობს“, „მამაომ თქვა“, „მამაოს უთქვამს“...

...სასულიერო პირის მიმართ **მამაო** ფორმის ხმარება გამართლებულია მხოლოდ მიმართვის ფორმებში – ისიც, მაშინ, როცა ეს საზოგადო სახელი დამოუკიდებლად გამოიყენება; გამონაკლისის სახით დასაშვებია აგრეთვე ამ ფორმის ხმარება საკუთარ სახელთან ერთად მხოლოდ მიმართვისას, ვინაიდან ამის კულტურული ტრადიცია არსებობს (მაგ., ილიას წერილში: **მამაო ალექსი!**). ყველა სხვა ფორმაში სიტყვა მამა უცვლელი დარჩება...” (შ. აფრიდონიძე, 2009: 60, 62).

ეს მოზრდილი ციტატა მოგვყავს იმიტომ, რომ სადავო და საკამათო არაფერია, ნორმების [გრამატიკული წესების] მიხედვით ყველაფერი წესრიგშია. იგივე შეიძლება ითქვას ფორმა „**დედაოს**“ შესახებაც.

ჩვენი კვლევა-განსჯის საგანი ამ ფორმების დამკვიდრების მიზეზის მოძიება და ახსნაა, მცდელობა გარკვევისა, რა არის ეს: მცდარი ფორმა, თუ – ენაში არსებული შესაძლებლობების გამოყენებით ერთმნიშვნელობისაგან თავის დაღწევა.

„ენაში ყოველთვისაა ხელსაყრელი ნიადაგი, ესა თუ ის მნიშვნელობა არატიპიური საშუალებით იქნეს გამოხატული. მით უფრო, როცა საქმე მნიშვნელობათა ცალკეულ, უწვლილეს ელფერს, ნიუანსს ეხება...” (ბ. ჯორბენაძე, 1985: 219).

ამის ნათელი მაგალითია არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ სახელთა ბრუნების განხილვისას (კერძოდ, ბრუნების დროს სახელთა კვეცა-კუმშვასთან დაკავშირებით) გამოწვევის ჩამონათვალი, მათ შორის არის ერთი ასეთი შემთხვევა: არ იკვეცება, „როცა საზოგადო სახელი „მამა“, „დედა“, „ბები“, „პაპა“ საკუთარი სახელის ნაცვლად იხმარება: შდრ. „დედას თავშალი“ (შვილი ამბობს თავის დედაზე!), მაგრამ: „დედის დარიგება“ (= საერთოდ, დედის, მშობლის დარიგება)... „მამას ჩიბუხ“, მაგრამ „მამის მოვალეობა შვილების წინაშე“...

ისტორიულად ასეთი [გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობების გამოხატვის სხვადასხვა ფაკულტატიური] საშუალება

ქართულ ენას მრავალი აქვს, ამის ერთ-ერთი მაგალითია, ვფიქრობთ, ბრუნვის ფორმის გამოყენება წარმოქმნილი სახელის ფუძედ; საკუთარი სახელების წოდებითი ბრუნვის ფორმებით დამკვიდრება... და სხვ.

ვფიქრობთ, ჩვენს შემთხვევაშიც ასეა: ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები: **მამა** და **დედა** რელიგიური მნიშვნელობით ხმარებისას, ჩვეულებრივი მშობლის აღმნიშვნელი სახელისაგან განსასხვავებლად, მკვიდრდება სპეციფიკური **მამაო** და **დედაო** ფორმებით.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

რამდენიმე მოსაზრება მცენარეთა სახელების ეტიმოლოგიური კვლევისათვის (*წენგა* და *ჰანგა*)

1. მცენარეთა სახელების ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების დროს ოდენ ფონოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობა, არცთუ იშვიათად, მცდარ დასკვნებს განაპირობებს, ვინაიდან შესადარებელი ერთეულები (ფიტონიმები) თავიდანვე არასწორადაა შერჩეული, უგულებელყოფილია მათი მოტივაცია.

2. ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის მცენარეთა სახელების მოხმობისას, ვფიქრობთ, უსათუოდ გასათვალისწინებელია: 1. ფიტონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი უძველესი წარმოშობის არ არის, გამჭვირვალე სემანტიკისაა და მეტწილად შესაძლებელია მოტივაციის დადგენა; 2. მცენარეთა სახელებში ხელსესახებია ნასესხები ლექსიკა და, როგორც ცნობილია, ზოგ შემთხვევაში ნასესხები სიტყვათა გამოცნობა რთულია, მით უფრო, როცა გვაქვს ადრეული სესხება; 3. ქართველურ მასალაში გასათვალისწინებელია ურთიერთნასესხობათა, ასევე, შესატყვისობათა და ნასესხობათა ერთგვარი კონტამინაცია; 4. შესატყვისი ფიტონიმების მოძიებისას შეიძლება არაერთმა ქრონოლოგიურმა ფენამ იჩინოს თავი.

3. მიგვაჩნია, რომ შესაბამისი არქექტივის ძიებისას არასწორადაა შერჩეული ფიტონიმები: ქართ. **წენგა**-, ლაზ. **ჰანგა**- და ალღე-

ნილი *წენგ- არქეტიპი. (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ 2000: 663).

4. აღნიშნულ მცენარეთა იდენტიფიცირებისას აღმოჩნდება, რომ ეს ორი სრულიად განსხვავებული ბალახოვანი მცენარეა, განსხვავებულია შესადარებელ ფიტონიმთა მოტივაცია და წარმომავლობაც:

ა) **წენგ-ა/წენგ-არ-ა/წენგ-არ-ი/წენგ-არ-ა-ი/წენგ-ერ-ა** (= ლაშქარა) სახელებისათვის ამოსავალია მცენარის დანიშნულება (მის ნახარშს საღებავად იყენებენ) და უკავშირდება სახელ **წენგო**-ს. უცნობია **წენგ**- ძირის წარმომავლობა.

ბ) ლაზურ შესატყვისად მოხმობილ ფიტონიმ **ჭანგას** (= გლერტა) მოტივაცია ასეთია: ჭანგისმაგვარი ფესვის (ჩასობა-მოჭიდების უნარის) მქონე მცენარე. თავისთავად, სიტყვა **ჭანგი** ქართულში ნასესხობად არის მიჩნეული (ჩუბინაშვილი 1984: 1702; ქეგლი 1964: 1225; ანდრონიკაშვილი 1966: 121; თანდილავა 2013: 530). შდრ.: „სპ. *cang* „თათი“ (ქართ. *ჭანგი*), *cangal*, ქურთ. *ceng* „ხელი, ფრთა“, ზაზა *cangil* „მხარი“, ავღ. *cang* „გვერდი“, *cang* „ფრთა“, *cangal* „ხელი“, ძვ. ირ. **canga*, ავ. *peso. cingha* „გამლილი ბრჭყალებით“, ოს. *cong* „ხელი“ *ჩონგა* = „ხელზე დასახვევი, მკლავზე წამოსაცმელი“ (ანდრონიკაშვილი 1966: 121). შდრ., ასევე, სომხური: [chankrtel; chank] „ბრჭყალი, კლანჭი, თათი, მარწუხი“.

5. ნასესხებ სიტყვა **„ჭანგს“** (ფონეტიკური ვარიანტებით) ქართულსა და მის ქვესისტემებში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „ბრჭყალი, კლანჭი“; (სპეც.) „ფეხზე დასამარებელი ნამგლისებური, კბილებიანი ლითონის მოწყობილობა ბომზე ასასვლელად; ნესტარი“; „ვაზის უღვაში“; „სიმჟავე, ჭმახი“. ჩვენი ვარაუდით, სემანტიკური გადასვლები ასე უნდა წარმართულიყო: „სპ. *cang* „თათი“ > ქართ. **ჭანგ-ი** „ცხოველის ბრჭყალი“; „ფრინველის ბრჭყალი“ > „ძლიერად ჩასობის, მოჭიდების უნარის მქონე რამ: „ნესტარი“; „ვაზის უღვაში“; „ერთგვარი სარეველა ბალახი“; „უსიამოვნო გემო, რომელიც რაიმეს (მაგ. ღვინოს) თუ მოეკიდა, ვერ მოაშორებ – სიმჟავე, ჭმახი/წმახი“ (შდრ., სულხან-საბას ერთი განმარტება: „უმეცარნი ღვინოსა მოძმარებულსა რომელნიმე *ჭანგს(ა)* უწოდებენ, რომელ(ნ)იმე *კანჭსა*. არც(ა) ერთია მათი სახელი, ანუ *მოძმარებული*, ანუ *ჭმახი*“ (საბა 1993: 397, 398).

6. ამგვარად, საანალიზო ფიტონიმების (**წენგა/წენგარა** და **ჰანგა**) მოტივაცია განსხვავებულია. ამასთან, **ჰანგ-ი** ნასესხები სიტყვაა. შესაბამისად, არქეტიპის აღდგენის მიზნით შესადარებელი ერთეულები (**წენგა** და **ჰანგა**) არასწორადაა შერჩეული. მსგავსი შეუსაბამობა სპეციალურ ლიტერატურაში სხვაც არაერთი დასტურდება. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის – ამგვარი კვლევებისას ფიტონიმთა მოტივაციის გათვალისწინების წარმოჩენა.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა

მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზისთვის

ფრაზეოლოგიზმი არა მხოლოდ სემანტიკური ერთეულია, არამედ გრამატიკულიც, ე. ი. შინაარსობრივი ანალიზის გვერდით საჭიროა მისი მორფოლოგიურ-სინტაქსური თვალსაზრისით დახასიათებაც, კერძოდ, როდესაც ფრაზეოლოგიზმი სახელურ შესიტყვებას წარმოადგენს, დგება კომპონენტთა თანმიმდევრობისა და მართვა-შეთანხმების საკითხი.

მეგრულ-ლაზურში ჩვეულებრივია პრეპოზიციური წყობა (მსაზღვრელ-საზღვრული):

მეგრ. **ჩე დლა** „კარგი ცხოვრება“, ზედმიწ. „თეთრი დღე“.

მეგრ. **უჩა შარა** „ჯოჯოხეთის გზა“, ზედმიწ. „შავი გზა“.

ლაზ. **დუმჭკონი კოჩი** „დაუნდობელი კაცი“, ზედმიწ. „ჭიანჭველიანი კაცი“.

ლაზ. **ჩილისა ოსური** „მარტოხელა, ეული ქალი“, ზედმიწ. „ეკლესიის ქალი“.

მეგრ. **ყარაჩა კოჩი** „ძლიერი, მამაცი, ვაჟკაცი“, ზედმიწ. „ყარაჩაელი კაცი“ და სხვ.

პოსტპოზიციური წყობა ჩვეულებრივია ლაზურში, მეგრულში – იშვიათი.

ლაზ. **ნენა ბუტკა** „უპირო კაცი“, ზედმიწ. „ენა ფოთოლი“ (მდრ. ქართ. „ბევრის თქმია, არას ქნია“)

ლაზნ **გური ჩუჩქუ** „გულჩვილი“, ზედმიწ. „გული ბავშვი“.
ლაზ. **ხე ბერგი** „მოუხერხებელი“, ზედმიწ. „ხელი თოხი“.
ლაზ. **თოლი უძღუ** „გაუმადლარი“, ზედმიწ. „თვალი უძღები“.
ლაზ. **ჯებე მონკა** „მდიდარი, ფულიანი“, ზედმიწ. „ჯიბე მძიმე“ და სხვ.

როდესაც მართვასთან გვაქვს საქმე, საზღვრული პრეპოზიციური. მეგრულში ნათესაობითის **-(ი)შ** მსაზღვრელთან, როგორც წესი, შენარჩუნებულია, ლაზურში კი შეიძლება დაიკარგოს.

მეგრ. **ორქოშ კაკალი** „ძალიან ძვირფასი რამ“, ზედმიწ. „ოქროს მარცვალი“.

მეგრ. **ქინძიშ ბარჯგი** „პატარა ტანისა, ლილიპუტი“, ზედმიწ. „ქინძის სარი“ (შდრ. ქართ. „კრუხის პალო“)

ლაზ. **კოჩი მონთა** „ადამიანი“, ზედმიწ. „კაცის შვილი“.

ლაზ. **გურიშ ნენა** „გულის კარი“

მეგრ. **ჩიტომ ცვალი** „იშვიათი რამ“, ზედმიწ. „ჩიტის ყველი“.

ლაზ. **გური თგორუ** „სურვილი“, ზედმიწ. „გულის ძებნა“.

მეგრ. **ქვარაშ ორცხოწი** „უსარგებლო, მავნე, ურგები რამ“, ზედმიწ. „მუცლის სვარცხელი“ და სხვ.

სახელური ფრაზეოლოგიზმები, ჩვეულებრივ, ორი კომპონენტისგან შედგება, მაგრამ გვაქვს მრავალკომპონენტურიანიებიც.

მეგრ. **ლურიშ ჭყვიდუა** „ხანგრძლივი ძილი, ძილიანობა“, ზედმიწ. „ძილის ამოწყვეტა“.

მეგრ. **კოჩიშ მოძირაფა** „უსახური კაცი, არარაობა, არაკაცი“, ზედმიწ. „კაცის მოჩვენება“

ლაზ. **კიბრი ოლასირუ** „მომზადება“, ზედმიწ. „კბილის ლესვა“

ლაზ. **დაჩხური გოგზუ** „აღელვება“, ზედმიწ. „ცეცხლის შემონთება“

მეგრ. **უჩა დღა გითთანუ** „შავი დღე დააყარა“, ზედმიწ. შავი დღე გაუთენა“

ლაზ. **გური კაპეტი ოქაჩუ** „განმტკიცება, გამაგრება“, ზედმიწ. „გულის მაგრად დაკვება“.

მეგრ. **ხეშა სანთელიშ აშაჭუაფა** „გაცურება, მშრალზე დატოვება“, ზედმიწ. „ხელში სანთლის ჩაწვა“ და სხვ.

ოთხკომპონენტურიანი შესიტყვებაში ერთ-ერთი კომპონენტი ხშირად **დო** „და“ კავშირია:

მეგრ. **ხე დო დუდიშ გოლუაფა** „მოფერება, ალერსი“, ზედმიწ. „ხელისა და თავის შემოღება“.

მეგრ. **ღგა დო თომაშ ტყაბარუა** „მოთქმით, გულამოსკვნით ტირილი“, ზედმიწ. „ლოყისა და თმის გატყავება“.

მეგრ. **ბჟა დო ღვინიშ აკნაწყორა** „ძალიან ლამაზი“, ზედმიწ. „რძისა და ღვინის ნაზავი“ და სხვ.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

ქართული ენის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ხასიათის ლექსიკონები (თანამედროვე მდგომარეობა და მომავლის ამოცანები)

ორთოგრაფიული ლექსიკონების გამოცემის საქმეს ჩვენში სა-თავე, ფაქტობრივად, 1941 წელს დაედო, როდესაც ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის ავტორობით პირველი **„სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“** გამოიცა.

ასევე პირველი, მაგრამ უკვე **ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი** (ზემოთ დასახელებულ პირთა ავტორობითვე) გამოქვეყნდა 1968 წელს, რომლის განმეორებული და შევსებული ვარიანტის გამოცემაც მხოლოდ 1998 წელს მოხერხდა.

შემდგომ წლებში დღის სინათლე იხილა რამდენიმე, ასევე ორთოგრაფიული (და ასევე სტილისტიკური) ხასიათის ლექსიკონ-მაც, როგორებიცაა: **„ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“** (მისი სალექსიკონო ნაწილი), **„ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“** (I, II), **„ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“**, **„სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“** და **„მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“**.

მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომია ასევე ზემოჩამოთვლილ ლექსიკონთა **ელექტრონული ვერსიებიც** (სხვადასხვა სახისა).

აღნიშნული ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ხასიათის ლექსიკონების აგების ძირითადი პრინციპი ერთია, მაგრამ თითოეულს მათგანს ამ მხრივ თავისი განსხვავებული სპეციფიკური მახასია-

თებლებიც მოეპოვება; ასევე მეტნაკლებად განსხვავებულია ამ ლექსიკონთა ელექტრონული ვერსიების ფორმაც; ყოველივეს გამოწვლილვით შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის შედეგად დღის წესრიგში აუცილებლად დგება საკითხი უპირველესად შემდეგი **ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ხასიათის ლექსიკონების მომზადებისა:**

1. **ახალი ვრცელი ბეჭდური ორთოგრაფიული ლექსიკონი** (რომლის შემუშავების საკითხიც იმთავითვე, მეორე წიგნის გამოცემისთანავე დაისვა და რომლის დამზადება შესაბამისი განყოფილების გეგმაში არის კიდევაც გათვალისწინებული);

2. **ამავე ლექსიკონის ელექტრონული ვერსია** (სამიებო სისტემის მქონე სპეციფიკური პროგრამის სახისა);

3. **მოკლე ორთოგრაფიული ლექსიკონი** (ბეჭდური ვარიანტი);

4. **მოკლე ორთოგრაფიული ლექსიკონები სხვადასხვა დარგის სპეციალისტათვის** (რომელიც ასევე ბეჭდური სახისა უნდა იყოს და სადაც შესაბამისი დარგობრივი ტერმინოლოგიაც იქნება ასახული).

აღნიშნული გამოცემების მომზადება სათანადო და ღირსეული პასუხი იქნება თანამედროვე მეცნიერებისა და საზოგადოების დღევანდელ მოთხოვნა-გამოწვევებზე.

პროექტი „ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“

პროექტი (№ 31/45) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ნ ო დ ა რ ა რ დ ო ტ ე ლ ი

აორისტის წარმოებისა და რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში*

1. აორისტის წარმოებისა და მისი გენეზისის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია განსხვავებული თვალსაზრისები. კერძოდ, ხუნძურში თემატური **-ო-**, **-უ-** მიკუთვნებულია აორისტის **-ნა** დაბოლოებას და მთლიანობაში გააზრებულია ნამყო ძირითადის ნიშნად [უსლარი 1889: 192; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 257; გუდავა 1978: 223...]. ზოგი მკვლევარი აორისტის საწარმოებლად **-ან**, **-უნ** სუფიქსებს გამოყოფს [მაღავეა 2007: 101]. ზმნურ ფორმათა სეგმენტაციის ამგვარი ნაირგვარობა შეპირობებული ჩანს ფუძისეული და აფიქსისეული ელემენტების ისტორიული ტრანსფორმაციით, რაც საკვლევ ენებში განხორციელდა. ცხადია, ზემოწარმოდგენილი სეგმენტაცია გაუმართლებელია, ვინაიდან თემატური ხმოვანი თემას აფორმებს, ხოლო საკუთრივ **-ნა** სუფიქსს ნამყო ძირითადის წარმოება ეკისრება [ასელდეროვა 2010: 95-100].

2. სალიტერატურო ხუნძურსა და ჩრდილოურ დიალექტში აორისტის ნიშანი **-ნა** სამართლიანად არის ინოვაციად მიჩნეული [ალექსეევი 1988: 49]. რაც შეეხება ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში თავჩენილ აორისტის ფორმებს, ისინი **-Ø**, **-რი (> -რ)**, **-ნ** ტრანსფორმირებული სუფიქსებით იწარმოებიან: ანწ. ქტა (შდრ. სალიტ. ქტა-ნა „id.“) „ჭამა“, ყა (შდრ. სალიტ. ჰეყა-ნა „id.“) „დალია“, ქუნა-რი (შდრ. სალიტ. ქუნა-ნა „id.“) „შეჭამა“...; ყარახ. თ-არ „და-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № 31/45).

ტოვა“, ბუყ-უ-რ „შეკერა“ და მისთ. დიალექტთა მონაცემების ანალიზით ცხადი ხდება, რომ აორისტის საწარმოებელი სუფიქსებიდან არქტიპებს **-რ**-ს შემცველი ნიშნები წარმოადგენენ: **-რი** (ანწ., ჭარ.), **-რ** (ბაწად.), **-რა-** (ხუნდ. მიმღ.) [ალექსევი 1988: 49; მალაევა 2007: 105]. ხუნძურის ზემომოყვანილ სუფიქსს პარალელი ეძებნება ახვახურ ენაში აორისტის **-რი** დაბოლოებასთან, რაც შემთხვევითი არ ჩანს. სხვა ანდიურ ენებს ანალოგიური ფუნქციით განსხვავებული ნიშნები მოეპოვება, რომლებიც სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

ენა	I უღვლ.	II უღვლ.
ანდიური	-ი, -ა	-ინ, -ან
ბოთლიხური	-უ, -ა	–
დოდობერიული	-ი, -ა	-ი, -ა
ჭამალური	-ო, -ა	-ო, -ა
ტინდიური	-ო	-ო
ბაგვალური	-ი, -ა	-ი, -ა
კარატაული	-ე, -ა	-ე, -ა
ახვახური	-(ე)რი, -(ა)რი	-(ე)ნი, -(ა)ნი

3. როგორც ზემომოყვანილი სქემა ცხადყოფს, ანდიურ ენათა სინამდვილეში ოდენხმოვნიაანი ნიშნებისთვის არქტიპად **-ა** მიიჩნევა [დიუმეზილი 2015: 137; მალაევა 2007: 109...]. რაც შეეხება ხუნძურისა და ახვახური ენების **-რი** (> **-რ**) სუფიქსს, იგი უნდა უკავშირდებოდეს საკუთრივ დიდოურსა და ჰინუხურ ენებში თავჩენილ ნომყო დროის მიმდებობათა **-რუ** სუფიქსს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი პარალელს პოულობს ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტსა (**-ი**) და დიდოური ენის საჰადურ დიალექტში (**-ი**) გამოვლენილ ნამყო განსაზღვრულის სათანადო სუფიქსებთან: $\bar{\sigma} < *-\text{რი} < *-\text{დი}$ [იმნაიშვილი 1963: 184; არდოტელი 2009: 42-46]. ამავე რიგისა უნდა იყოს ბეჟიტური ნამყო ძირითადის სუფიქსი **-რო** > **-მო** (საკ. ბეჟ.), **-რ** (ჰუნზ.). არ არის გამორიცხული ხუნძური აორისტის **-რი/-რ** და ნამყო დროის სუფიქსში (**-რ-ა-ბ**) შემავალი **რ** გენეზისურად ერთმანეთს უკავშირდებოდნენ [დიუმეზილი 2015: 138; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 307-308]. გარდა ამისა, სავარაუდოა, აორისტის არქაული **-რი** სუფიქსისთვის საერთო ამოსავალს ახვახური ენის სამხრული

დიალექტის წევობის მეტყველებაში დაცული **-რა** წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში ცხადი გახდებოდა *ა არქიფონემის კანონზომიერი გარდაქმნა ბეჟიტურ **ო**-დ (*-რა > -რო).

4. აღსანიშნავია, რომ II უღვლილების ზმნები, რომლთაც საკუთრივ ანდიურ და ახვახურ ენებში კარგად აქვთ დაცული აორისტის ფორმები, დიდოური ენებიდან ბეჟიტურ და ხვარშიულ ენებში, ნაზალიზაციის სახით, რელიქტურად არიან შემონახული. მასთან, აორისტის ფორმებში ხუნძური თემატური ხმოვნების ადგილას ანდიური ენები კატეგორიულ ნიშანს გვიჩვენებენ, რაც მათ არქექტიპულობას ამტკიცებს, მაგ.: ხუნძ. ბიც-ან-ა : ანდ. ბის-ონ : ბოთლ., კარ., ჭამ., ბაგვ. ბას-ა⁵ : ტინდ ბას-ო⁵ : ახვ. ბაჩ-ან-ა : ბეჟ. ნის-ორ-ო (<* ნის-არ-ო?) „უამბო“, „მოუთხრო“...

ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

მიმღეობა ნახურ ენებში*

1. როგორც ცნობილია, მიმღეობა ნაზმნარი სახელია - ზმნასთან აქვს საერთო ფუძე. ზმნური კატეგორიებიდან მოეპოვება იმ ზმნის კლასის, დროის, რიცხვის, ასპექტის კატეგორიები, რომლისგანაც არის ნაწარმოები.

მიმღეობა, ზედსართავი სახელის მსგავსად, ბრუნებადი სიტყვაა. წინადადებაში წარმოადგენს მსაზღვრელს. ნახურ ენებში აქვს ორი ფორმა: დამოკიდებული (სახელის მსაზღვრელად) და დამოუკიდებელი (გასუბსტანტივებული). დამოუკიდებელი ფორმა იწარმოება დამოკიდებულისაგან **-რგ** (< -რიგ < -რ-იგ) ფორმანტის მეშვეობით.

გვაქვს აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის მიმღეობები. აწმყოს მიმღეობა ჩეჩნურში ემთხვევა აწმყოს ფორმას. შდრ., ჩეჩნურში უ ფორმანტიანი აწმყო: **ვ-რდ-უ** „მიდის“, აწმყოს მიმღეობა: **ვ-რდ-უ** სთავ „მიმავალი კაცი“, დამოუკიდებელი ფორმა ნაწარმოებია დამო-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ენოვნიული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № 31/45).

კიდებულისაგან: **ვ-რდ-უ-რგ** (<-რიგ)... ან კიდევ: აწმყო – ა ფორმანტიტ: ლწთთ-ა (< ლათთ-ე) „დგას“, ლწთთ-ა სთაგ „მდგარი კაცი“, ლწთთ-ა-რგ „მდგარი“ და მისთ.

აწმყოს მიმღეობის მაწარმოებლად ინგუშურში **-ა** ფორმანტი ჩანს (დოლაქოვა 1967, 221).

ბაცბურში აწმყოს მიმღეობა იწარმოება აწმყოს ფორმაზე **-ინ** (-ინო//-ინი, მ. მიქელადის მიხედვით) ფორმანტის დართვით. შდრ.: აწმყო **-ო** მაწარმოებლით: ხერც-ო „ცვლის“, აწმყოს მიმღეობა *ხერც-ო-ინ (> ხერც-უ-ინ, სადაც -ო-ინ > -უ-ინ) „გამცვლელი“, „გასაცვლელი“... აწმყო **-ე** მაწარმოებლით: თეყ-ე „ეხვეწება“, აწმყოს მიმღეობა *თეყ-ე-ინ (> თეყ-ინ, -ე-ზე დაბოლოებულ აწმყოში სრულად იკარგება ეს ფორმანტი) „მახვეწარი“ და მისთ.

2. ნამყოს მიმღეობა სამივე ნახურ ენაში ასევე ემთხვევა ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმას. ნამყო განუსაზღვრელი თვითონ წარმოადგენს ოდინდელ მიმღეობას, რომელსაც დაკარგული აქვს მეშველი ზმნა. დროის აღნიშვნის ფუნქცია მისთვის მეორეულია.

ნამყოს დამოუკიდებელი ფორმაც იწარმოება მიმღეობის ფორმაზე იმავე **-რგ** (<- რიგ) ფორმანტის მეშვეობით. შდრ., ლეჟყ-ი-ნა-რგ და მისთ.

ნამყოს მიმღეობაც **-ა** ფორმანტით არის ნაწარმოები ინგუშურში. იგი დაერთვის ნამყო უახლესის ფორმას, რომელსაც საკუთარი ფორმანტი დაკარგული აქვს. ეჭვს არ იწვევს, რომ ინგუშურში **-ა** ფორმანტი მომდინარეობს **-ნა**-საგან. შდრ., სახელთა ბრუნებაში მიცემითის ფორმები გოვრ-ა-ა „ცხენს“ ტიპისა, რომელიც მომდინარეობს **გოვრ-ა-ნა**-საგან.

ნამყოს მიმღეობა ბაცბურში **-ინ** ფორმანტით იწარმოება (კ. ჭრელაშვილი), შდრ., ხარც-ან „გაცვლა“, ნამყოში ხარც-ინ „გაცვლილი“ და მისთ.

სავარაუდოდ, ბაცბურის ვითარება მეორეული ჩანს, რაც გამოწვეულია ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვნის ჩავარდნით: -ი-ნა > ი-ნ. მაშასადამე, ბაცბურში გამოსაყოფია არა **-ინ**, არამედ **-ი-ნ** (< ი-ნა).

მყოფადის მიმღეობა სამივე ნახურ ენაში ანალიტიკურია და, ამდენად, მეორეული.

3. ბრუნების თვალსაზრისით, მიმღეობა, როგორც დამოკიდებული, ისე დამოუკიდებელი, არ განსხვავდება შესაბამისი (დამოკი-

დებული და დამოუკიდებელი) ზედსართავი სახელისაგან. აღნიშნული დებულება ვრცელდება სამივე ნახურ ენაზე.

მაშასადამე, ნახურ ენებში მიმღეობის მაწარმოებლებია:
ჩეჩნური ინგუშური ბაცბური

აწმყო	-ა // -უ	-ა	-ინ // -ინო // -ინი
ნამყოს მიმღეობა	-ნა	-ა (-ა*-ნა)	-ნა

მყოფადის მიმღეობა, როგორც ითქვა, ანალიტიკურია.

როსტომ ფარეულიძე

ნაზმნარი სახელები: -მ ფორმანტიანი ნაზმნარი სახელები*

ნახურ ენებში მასდარი, ისევე როგორც ინფინიტივი, იწარმოება ყველა ზმნისაგან **-რ** ფორმანტის მეშვეობით. **-რ** ფორმანტი დაერთვის **-ა**- ხმოვნით გავრცობილ ზმნურ ფუძეს ზუსტად ისევე, როგორც ინფინიტივის საწარმოებლად **-ნ** ფორმანტი იმავე ფუძეს. მაშასადამე, **-ნ**-ს შეცვლა **-რ**-თი იწვევს ინფინიტური ფორმის შეცვლას მასდარით. მასდარი ბრუნებადი სიტყვაა, ნაზმნარი სახელია.

ნახურ ენებში ნაზმნარია **-მ** ფორმანტიანი სახელებიც. ასეთი სახელი ნაწარმოებია იმავე ფორმისაგან, რომლისაგანაც მასდარი (**-რ** იცვლება **-მ**-თი).

მოვიყვანოთ მაგალითები ჩეჩნურ-ინგუშურიდან:

ინფინიტივი	მასდარი	-მ ფორმანტიანი სახელები
ხათთ-ა-ნ „(შე)კითხვა“	ხათთ-ა-რ	ხათთ-ა-მ „აღსარება“
ჰადეხ-ა-ნ „სწავლება“	ჰადეხ-ა-რ	ჰადეხ-ა-მ „რჩევა; სწავლება“
კადეთ-ა-ნ „მიხვედრა“...	კადეთ-ა-რ	კადეთ-ა-მ „შეგნება; ცნობიერება“...
თადემ-ა-ნ „ნდობა“	თადემ-ა-რ	თადემ-ა-მ „ნდობა“...

ნახურ ენებში მასდარები განეკუთვნებიან **დ**- კლასს (მაგ., ჩეჩნ.-ინგ. ხათთ-ა-რ დ-უ, ბაცბ. ხატტ-ა-რ დ-ა „კითხვა არის“, „კი-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ენოვნიული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № 31/45).

თხვაა“ ...). გარდა ამისა, ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნის მქონე ზმნათაგან ნაწარმოები მასადარები იცვლებიან არს. სახელის კლასის ნიშნის მიხედვით. მოვიყვანოთ მაგალითები:

ჩეჩნ.-ინგ.	ბაცბური
ხათთ-ა-რ	ხატტ-ა-რ „კითხვა“
ლნც-ა-რ	ლაც-ა-რ „დაჭერა“...
დ (ვ-, მ-, ბ-)-იგ-ა-რ	დ (ვ-, მ-, ბ-)-იკ-ა-რ „წაყვანა“
დ (ვ-, მ-, ბ-)-ასთ-ა-რ	დ (ვ-, მ-, ბ-)-ასტ-ა-რ „გახსნა“
დ (ვ-, მ-, ბ-)-ად-ა-რ	დ (ვ-, მ-, ბ-)-ატ-ა-რ „გაქცევა“...

-მ ფორმანტიანი სახელები ერთიანდებიან **ბ**-ს გრამატიკულ კლასში. კლასნიშნითაგან ნაწარმოებ ამ ჯგუფის ნაზმნარ სახელებში კლასის ნიშანი **ბ**- გაქვევებულია. ასე რომ **ბ**- კლასისაა:

- ბ-მეზ-ა-მ „სიყვარული“ (ბ-უ/ბ-ა „არის)
- ბ-ნხ-ა-მ „ქონება, მეურნეობა“ (ბ-უ/ბ-ა „არის)
- ბ-მელ-ა-მ „სასაცილო (რამ)“ (ბ-უ/ბ-ა „არის)და მისთ.

აღსანიშნავია, რომ **-მ** ფორმანტიანი სახელები ჩეჩნურ-ინგუშურში ცოტაა, მცირერიცხოვანია. გამოითქვა აზრი მისი ნასესხობის შესახებ თურქულენოვანი სამყაროდან, კერძოდ, ყუმუხურიდან (დეშერიევი 1963, 394; კადირაჯიევი 1990, 61-62). აღნიშნული ფორმანტი ბაცბურში შენიშნული არ იყო. ბაცბურში იგი დადასტურდა რამდენიმე მაგალითში, როგორცაა:

- თეგ-ო-მ „მორიგება, თანხმობა“
- ვერლ'-ო-მ „შიში, შიშიანობა“
- თეშ-ო-მ „ნდობა“... (ქადაგიძე 1984)

არ უნდა იყოს სადავო, რომ **-მ** ფორმანტიანი სახელები ნახურ ფუძეენაში არსებობდა. ენების მიხედვით განსხვავებულია ამ ფორმებში ე. წ. მაერთებელი ხმოვანი. ჩეჩნურ-ინგუშურში **-ა**- გვაქვს, ბაცბურში – **-ო**-; ბაცბურში **-მ** ფორმანტის წინ **-ო**-ს არსებობა ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ჩანს (ბაგისმიერ **მ**-სთან მეზობლობაში **ა > ო**).

ნაზმნარ სახელთა ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის ნახურ-დადესტნურ ენებში*

ყველა ნახურ-დადესტნურ ენას მოეპოვება მასდარი, ხოლო ზოგიერთი მათგანისათვის მასდარის ორი ფორმის არსებობა არის ნავარაუდები, მაგ., -ეს ფორმანტიანი მასდარი და -ეს-უნ ფორმანტიანი მასდარი უდიურში, ანდა -რ ფორმანტიანი მასდარი და იდენტური ფუნქციების მქონე მ- ფორმანტიანი სახელზმნური ფორმა ნახურ ენებში.

ნახურ-დადესტნური ენები მასდარის ნიშანთა სიმრავლით გამოირჩევა, თუმცა მათგან ყველაზე გავრცელებულია -(V)ნ(V) მაწარმოებელი, რომელიც ყველა ჯგუფსა და ქვეჯგუფში დასტურდება:

ხუნძ. -ინ: ანდ. -ნ: ჭამ-ნ: ახვ. -ნ: დიდ. -ნი: ხვარშ. -ნუ: ბეჟ. -ნი: დარგ. -ნი, ლაკ. -ნ (ინფ.): ლეზგ. -ნ: რუთ. -ნ: ბუდ. -ნ: უდ. -უნ: კავკ. ალბ. -უნ: ჩეჩნ. -მ/-ნ (ინფ.): ინგ. -მ/-ნ (ინფ.): ბაცბ. -მ/-ნ (ინფ.).

ამას გარდა, საერთო-ნახურ-დადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე შეგვიძლია აღვადგინოთ მეორე სუფიქსი: მასდარის მაწარმოებელი (-რ) ნახურ ენებში შეიძლება დავუკავშიროთ ანოლოგიური ჟღერადობის სუფიქს ანდიურ ენებში, რომელიც ხუნძური ენის სამხრულ კილოებშიცაა დადასტურებული. ამ მაწარმოებელს, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ლეზგიურ ენებში დამოწმებული -რ სუფიქსი, რომელიც დასტურდება ნაზმნარი წარმოშობის სახელებში, შდრ. ლეზგ. ახჟა-რ: ბუდ. ახუ-რ „ძილი“...

თითოეულ ნახურ-დადესტნურ ენაში დასტურდება მიმდებობის რამდენიმე ფორმა. როგორც წესი, განსხვავდება სრული და უსრული სახის მიმდებობური ფორმები (ან ნამყოს, აწმყოსა და მყოფადი დროის მიმდებობები). საკვლევ ენათა მონაცემები გვიჩვენებს მიმდებობის სუსტ ფორმოებრივ დიფერენციაციას ზმნის ფინიტურ ფორმებთან. ნ. ტრუბეტკოის აზრით, -დ-, -ლ-, -ნ- თანხმოვანთა შემცველი

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ენოვნილი სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № 31/45).

სუფიქსები წარმომავლობით ადიექტურია (resp. მიმღებური) და მათ მოგვიანებით შეიძინეს პრედიკატული ფუნქცია.

საერთო-ნახურ-დადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე *-რ აბსოლუტივის ნიშნის აღდგენა შესაძლებლად გვესახება:

ხუნძ. -რა (მიმღ.): ანდ. -რ: ახვ. -ერი, -ირი/-ერი (?): დიდ. -რუ: ჰინ. -რუ: ბეჟ. -მო (< -რო): ჰუნზ. -რ: ლეზგ. -რ/-რა: რუთ. -რა/-რპ, -რი (ნამყ.): არჩ. -რ: ჩეჩნ. -რ: ინგ. -რ.

ამას გარდა, წარმომავლობით აბსოლუტივის სუფიქსს უნდა წარმოადგენდეს *-ზ. ის, როგორც ჩანს, არ არის მიმღებური წარმომობისა, რაც ცხადად ჩანს, თუ გავითვალისწინებთ ლეზგიურ და დიდოურ ენათა მონაცემებს:

ხუნძ. -ნა (ნამყ.): დიდ. -ნო/-ნ: ჰინ. -ნო/-ნ: ხვარშ. -ნა: ბეჟ. -ნა: ჰუნზ. -ნ: ლაკ. -უნ: ლეზგ. -ნა: თაბ. -ნუ/-ნ: აღ. -ნა ||-ნ (ფით.): რუთ. -ნა/-ნე: კრიწ. -ნპ: ბუდ. -ნე: არჩ. -ნა/-ნ: ჩეჩნ. -ი/-ინა.

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ზმნური წარმომავლობის ზოგიერთი არსებითი სახელის აგებულებისათვის ხუნძურ ენაში*

მოხსენებაში განიხილება -**ჯან** დერივატის მეშვეობით ზმნათაგან ნაწარმოები არსებითი სახელები ხუნძურ ენაში, როგორცაა, მაგალითად, ჰალტუ-**ჯან** „მუშა“ (< ჰალტ-ი-ზე „მუშაობა“); მალ-უ-**ჯან** „მასწავლებელი“, „დამრიგებელი“ (< მალ-ი-ზე „სწავლა“, „დარიგება“); ტურდ-უ-**ჯან** „მოცეკვავე“ (< ტურდ-ი-ზე „ცეკვა“)... აღსანიშნავია, რომ დიდი ნაწილი -**ჯან** სუფიქსიანი არსებითი სახელებისა მიღებულია ზმნის განგრძობითი ფორმებისგან: წალ-დ-ო-**ჯან** „მოსწავლე“ (< განგრძ. წალ-დ-ე-ზე, შდრ. არაგანგრძ. წალ-ი-ზე „სწავლა“, „კითხვა“); ჯუა-დარ-უ-**ჯან** „მწერალი“ (< განგრძ. ჯუა-დარ-ი-ზე, შდრ. არაგანგრძ. ჯუა-ზე „წერა“); ჰეყ-ოლდ-უ-**ჯან** „მსმელი“, „ლოთი“

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ენოვნიული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № 31/45).

(< განგრძ. ჰეყ-ოლდ-ი-ზე, შდრ. არაგანგრძ. ჰეყ-ე-ზე „სმა“, „დალევა“); უ-ეც-არ-უ-**ჰან** „მთიბავი“ (< განგრძ. უ-ეც-არ-ი-ზე, შდრ. არაგანგრძ. ბ-ეც-ი-ზე „თიბვა“)...

ზმნათაგან ნაწარმოებ ამგვარ სახელთათვის ამოსავალია, კერძოდ, მასდარის ფორმა, მაგ., ჰალტ-უ-ჰან „მომუშავე“, „მუშა“ < მასდ. ჰალტ-ი „მუშაობა“ (ინფ. ჰალტ-ი-ზე). სუფიქსი -**ჰან** დართული აქვს, სახელდობრ, მასდარის საბრუნებელ ფუძეს ჰალტ-უ-, შდრ. ნათ. ბრ. ჰალტ-უ-ლ „მუშაობისა“.

არნ. ჩიქობავა და ი. ცერცვაძე ამის თაობაზე შენიშნავენ: „მასდარი ამჟამად ჩვეულებრივ იბრუნვის მეორე ტიპის მიხედვით (-**ალ** დაბოლოებით ერგატივში: ჰაბი-მ-**ალ** „კეთებამ“ და ა. შ.). -**ჰან** სუფიქსით წარმოება ცხადყოფს, რომ მასდარის ბრუნება მესამე ტიპის მიხედვით (-**ცა** დაბოლოებით ერგატივში) ძველად უფრო ხშირი მოვლენა უნდა ყოფილიყო (ამაზე მიუთითებს ამოსავალი ფუძეები -**ჰან** სუფიქსიანი ფორმებისა)“.

მართლაც, აღსანიშნავია ამ მხრივ ერთი თავისებურება, რომელიც გასუბსტანტივებულ მასდართა ბრუნებაში შეინიშნება. სუბსტანტივად გაგებული მასდარი, როგორც ცნობილია, ხუნძურ ენაში ჩვეულებრივ III ტიპის მიხედვით იბრუნვის. ასე, მაგალითად:

ჰალტ-ი „მუშაობა“, ერგ. ჰალტ-უ-ცა, ნათ. ჰალტ-უ-ლ, მიც. ჰალტ-უ-მ-ე;

რაც-ი „შიშნული“, ერგ. რაც-უ-ცა, ნათ. რაც-უ-ლ, მიც. რაც-უ-მ-ე;

როტ-ი „სიყვარულუ“, ერგ. როტ-უ-ცა, ნათ. როტ-უ-ლ, მიც.

როტ-უ-მ-ე;

როხ-ი „სიხარული“, ერგ. როხ-უ-ცა, ნათ. როხ-უ-ლ, მიც.

როხ-უ-მ-ე;

რად „ომი“, ერგ. რად-უ-ცა, ნათ. რად-უ-ლ, მიც. რად-უ-მ-ე და სხვა.

საქმე ისაა, რომ გასუბსტანტივებულ მასდარებში, III ტიპის მიხედვით ბრუნებისას, ფუძისა და ბრუნვის ნიშნის მაკავშირებლის ფუნქციით ჩვეულებრივ გამოიყენება -**უ**- ელემენტი: ჰალტ-**უ**-ცა „მუშაობამ“, რად-**უ**-ცა „ომმა“ ... და სწორედ ეგვე -**უ**- მოეპოვება ზმნისგან წარმოებულ სახელთა დიდ ნაწილსაც -**ჰან** სუფიქსის წინ: ჰალტ-**უ**-ჰან „მუშა“, მალ-**უ**-ჰან „მასწავლებელი“, ტურდ-**უ**-ჰან „მოცეკვავე“, კუა-დარ-**უ**-ჰან „მწერალი“ და სხვა. ამისგან განსხვავებულ ვითარებას დავინახავთ -**ჰან** სუფიქსითვე ნაწარმოებ სუბსტანტი-

ვებში, რომელთათვისაც ამოსავალია არსებითი სახელის ფუძე. არსებით სახელთაგან წარმოებისას -**ჯან** სუფიქსი დაერთვის ირიბ ფუძეს, ე. ი. იმ ფუძეს, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ხოლმე III ტიპის მიხედვით ბრუნებისას ერგატივ-ნათესაობით-მიცემითში. მაგალითად:

ჩან-**ა**-ჯან „მონადირე“ (< ჩან „ნადირი“, შდრ. ნათ. ჩან-ა-ლ, ირიბი ფუძეა ჩან-ა-), ჩაუშ-**ი**-ჯან „მეთევზე“ (< ჩაუშა „თევზი“, შდრ. ნათ. ჩაუშ-ი-ლ, ირიბი ფუძეა ჩაუშ-ი-), ქოჭ-**ო**-ჯან „მომღერალი“, „პოეტი“ (< ქექ „სიმღერა“, „ლექსი“, შდრ. ნათ. ქოჭ-ო-ლ, ირიბი ფუძეა ქოჭ-ო-), ბოწი-**უ**-ჯან „მესაქონლე“ (< ბოწი „საქონელი“, შდრ. ნათ. ბოწი-უ-ლ, ირიბი ფუძეა ბოწი-უ-) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ისეთი მრავალფეროვნება ფუძისა და ბრუნვის ნიშნის მაკავშირებელი ხმოვნებისა, როგორც საკუთრივ არსებით სახელთაგან ნაწარმოებ სიტყვებში გვაქვს (-**ა**-, **-ი**-, **-ო**-, **-უ**-) არ არის დამახასიათებელი ზმნური წარმომავლობის სუბსტანტივთათვის, რომელთათვისაც ასეთ მაკავშირებელ ხმოვან ელემენტად **-უ**- არის ნიშანდობლივი. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ მასდართა ბრუნება III ტიპის მიხედვით უწინ მართლაც გავრცელებული უნდა ყოფილიყო ხუნძურ ენაში და, როგორც ჩანს, ამ ვითარების კვალი ზმნური წარმომავლობის **-ჯან** სუფიქსიან სახელებში შემონახულა ამ მაკავშირებელი **-უ**- ხმოვანი ელემენტის სახით.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ზმნათაგან ნაწარმოებ ზოგიერთ არსებით სახელში ასეთ მაკავშირებელ ხმოვანად შეიძლება **-ო**-ც გვექონდეს, მაგ., წალ-დ-**ო**-ჯან „მოსწავლე“, ლე-დ-**ო**-ჯან „მოცურავე“ და სხვა. ასეთი ფორმები დამახასიათებელია იმ სახელებითათვის, რომლებიც ნაწარმოებია **-ე**- თემატური ნიშნის მქონე (ინფინიტივსა და მასდარში) განგრძობითი მნიშვნელობის ზმნებისგან: განგრძ. ინფ. წალ-დ-**ე**-ზე, განგრძ. მასდ. წალ-დ-**ე** „სწავლა“, „კითხვა“ (შდრ. არაგანგრძ. ინფ. წალ-ი-ზე, არაგანგრძ. მასდ. წალ-ი-); ინფ. ლე-დ-**ე**-ზე, მასდ. ლე-დ-**ე** „ცურვა“ (< ლინ / ლიმ „წყალი“). ასეთ ზმნებში მარტივი აწმყოს ფორმათა წარმოების დროსაც ასევე **-ო**- იჩენს თავს თემატურ ხმოვანად: განგრძ. მარტ. აწმყ. წალ-დ-**ო**-ლა „სწავლობს“, შდრ. არაგანგრძ. მარტ. აწმყ. წალ-უ-ლა და სხვა.